



USAID
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

გზამკვლევი

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ

თბილისი
2021

ავტორი: ბესარიონ ბოხაშვილი

გზამკვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. გზამკვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ს მთავრობის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი.....	5
საერთაშორისო სტანდარტები შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით.....	8
შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება და ნებადართული შეზღუდვები (ზოგადი ასპექტები)	10
შეკრების ფორმები	14
შეკრების შეზღუდვის კონკრეტული მხარეები	15
შეფასების ვიწრო ზღვარი	18
შეფასების ფართო ზღვარი	19
მსუსხავი ეფექტი.....	19
შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის ძირითადი პრინციპები	20
ძალის გამოყენება, როგორც უკიდურესი ზომა.....	23
ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კონვენციის მეორე და მესამე მუხლების მიმართ	39
შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები	44
სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს მთავრობასთან კომუნიცირებული საქმეები	51
შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება: საქართველოს კანონმდებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები.....	53
შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის აკრძალვა	55
შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზება: ორგანიზატორი და მისი ვალდებულებები	55
შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის აკრძალვა.....	60
შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა ვალდებულებები	62
შეკრებისა და მანიფესტაციისას ტრანსპორტის სავალი გზის გადაკეტვის შედეგები	64
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები.....	66
შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძვლები	69
შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლა	71
პასუხისმგებლობის ფორმები და სახეები.....	75
დასკვნა	77

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც საქართველოს კონსტიტუციით¹, ასევე ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო აქტებით, რომელთა რატიფიცირებაც მოახდინა საქართველომ². შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლება გულისხმობს პირთა უფლებას, შეიკრიბონ საჯაროდ ან კერძოდ და კოლექტიურად გამოხატონ, დაიცვან ან მისდიონ საერთო ინტერესებს. ხშირად შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება სხვა პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ უფლებათა რეალიზების ერთ-ერთ ან/და ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. ზემოხსენებული მნიშვნელობის გამო, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევს ფუნქციური დემოკრატიის ერთ-ერთ ფუნდამენტად. ამავე დროს, როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები არ უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას *per se*, არამედ ისინი მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას უზრუნველყოფენ.

შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა უფლებებთან, როგორც შეიძლება იყოს, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ სპეციალურ ფორმას“.³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოცემული ანალოგიური განმარტების თანახმად, გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიის თავისუფლების მოქმედების ფარგლები ძალიან შეზღუდული იქნებოდა, თუ არ იარსებებდა აზრთა და შეხედულებათა გაცვლის გარანტია სხვებთან ერთობლიობაში, კერძოდ, შეკრების, მანიფესტაციის, გაერთიანების საშუალებით, რომელიც მოიცავს ერთნაირი შეხედულებების, ინტერესებისა და რწმენის მქონე ადამიანებს. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს აზრის ქონა და ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღება ან გავრცელება. ამიტომაც, როდესაც სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი განაცხადი ეხება მე-9, მე-10 და/ან მე-11 მუხლებს, სასამართლომ შესაძლოა, შესაბამისი განაცხადი განიხილოს მხოლოდ ერთ-ერთი მუხლის

¹ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი.

² გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (21-ე მუხლი), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 4.

ჭრილში, როგორც *lex specialis*. შესაბამისი საქმის ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ასევე შეუძლია, დაადგინოს მე-9-11 მუხლებიდან ერთზე მეტი მუხლის დარღვევა.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, თუმცა მის განხორციელებაში ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მკაცრ და ობიექტურ კრიტერიუმებს, რადგან ხსენებული თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, ის შეზღუდულად არ უნდა განიმარტოს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული სიკეთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს ეკისრებათ როგორც **ნეგატიური ვალდებულებები** (არ მოახდინონ შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლა/ხელის შეშლა/აღკვეთა) დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ჯეროვანი საჭიროების და დადგენილი კრიტერიუმების გარეშე, ასევე **პოზიტიური ვალდებულებები**, რომლებიც გულისხმობს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან შეკრებისა და მანიფესტაციის მშვიდობიანად ჩატარებისა და მესამე ძალისაგან დაცვის ვალდებულებას.

„მშვიდობიანი შეკრების ეფექტიანი განხორციელება არ შეიძლება შემოიფარგლოს სახელმწიფოს მხოლოდ იმ ვალდებულებით, რომ არ ჩაერიოს უფლების განხორციელებაში: მხოლოდ ნეგატიური კონცეფცია არ იქნებოდა მე-11 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი. ... მე-11 მუხლი ზოგჯერ მოითხოვს პოზიტიურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს თუნდაც კერძო პირებთან მიმართებაში, ... თუ ამის საჭიროება წარმოიშობა“.⁴

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში დეტალურადაა განსაზღვრული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის პირობები, თუმცა პრაქტიკაში ხშირად წარმოიშვება სირთულებები თუ გაურკვევლობები ხსენებული უფლებით სარგებლობისას. ამგვარი პრობლემების არსებობას ნათლად ადასტურებს უახლოესი წარსულის გამოცდილება: მოქმედი კანონმდებლობა ირღვევა როგორც შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა, ისე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რაც, ძირითადად, ამ უკანასკნელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაში გამოიხატება.

გასული წლების განმავლობაში აქციები და დემონსტრაციები ხშირად იქნა ორგანიზებული საზოგადოების, პოლიტიკური პარტიებისა თუ საინიციატივო ჯგუფების მიერ როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისი ჯგუფები საკუთარი გზავნილების, პროტესტის თუ პროგრამის საზოგადოებისათვის გასაცნობად, ხშირ შემთხვევაში,

⁴ Plattform “Arzte fur das Leben” v. Austria, application 10126/82, 1988.

მიმართავენ შეკრებებისა და დემონსტრაციების გამართვის გზებს. აღნიშნული პროცესი დემოკრატიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია, მოსახლეობამ გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, ყველასათვის უზრუნველყოს შეხედულებების დაფიქსირების შესაძლებლობა მათთვის სასურველი ფორმითა და შინაარსით, ასევე წახალისოს ზემოხსენებული პროცესები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, მოახდინონ საერთაშორისო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების რეალიზება პრაქტიკაში. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უფლებამოსილ პირებს ჰქონდეთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია თავიანთი კომპეტენციის ფარგლების შესახებ.

მოცემულ გზამკვლევაში მიმოხილული დებულებები და პროცედურები ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებს. ასევე წარმოდგენილია რელევანტური საერთაშორისო სტანდარტები, რომელთა დაცვის ვალდებულებაც სახელმწიფოს ეკისრება.

საერთაშორისო სტანდარტები შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით

უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინაპირობად დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. შეკრება აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობიანი, რათა მოხვდეს ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დაცვის სფეროში. მე-11 მუხლი არ იცავს შეკრებას, რომელსაც აქვს ძალადობრივი ან დანაშაულებრივი მიზნები, რომლებიც შემდგომში გადაიზრდება საზოგადო არეულობაში. თუმცა მე-11 მუხლი იცავს შეკრებას, რომლის დროსაც არსებობს შეკრების მოწინააღმდეგე დემონსტრანტთა მიერ ჩაშლის რეალური რისკი და მოსალოდნელი ძალადობის კონტროლს ვერ განახორციელებენ შეკრების ორგანიზატორები.⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს ისეთ ღირებულებას, როგორცაა ადამიანთა შეკრებისა და გაერთიანების უფლება. როგორც მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, იგი მოიცავს და აერთიანებს ორ, ერთი შეხედვით, მარტივ და ერთგვაროვან უფლებას შეკრებასა და გაერთიანებაზე, მაგრამ მე-11 მუხლი არ უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას *per se*, იგი მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას გულისხმობს. ასევე, მუხლი არ იცავს გაერთიანებას, იგი უზრუნველყოფს უფლებას გაერთიანების თავისუფლებაზე (რაც უკავშირდება არჩევანის კონცეფციას).

მე-11 მუხლით უზრუნველყოფილი უფლება მშვიდობიან შეკრებასა და გაერთიანებაზე მჭიდროდაა დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით, და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილია კონვენციის მე-9 მუხლით. სასამართლომ რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-9 და მე-10 მუხლების მოქმედების ფარგლები ძალიან შეზღუდული იქნებოდა, თუ არ იარსებებდა აზრთა და შეხედულებათა გაცვლის გარანტია სხვებთან ერთობლიობაში, კერძოდ, გაერთიანების საშუალებით, რომელიც მოიცავს ერთნაირი შეხედულებების, ინტერესებისა და რწმენის მქონე ადამიანებს. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს აზრის ქონა და ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღება ან გავრცელება. ამიტომაც, როდესაც სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი განაცხადი ეხება მე-9, მე-10 და/ან მე-11 მუხლებს, სასამართლომ შესაძლოა შესაბამისი განაცხადი განიხილოს მხოლოდ ერთ-ერთი მუხლის ჭრილში, როგორც *lex specialis*. შესაბამისი საქმის ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე,

⁵ Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom, application 8440/78, 1980.

სასამართლოს ასევე შეუძლია დაადგინოს მე-9-მე-11 მუხლებიდან ერთზე მეტის დარღვევა.

მე-11 მუხლთან დაკავშირებით ევროპის სასამართლო განსაკუთრებული და მომეტებული სკრუპულოზურობით განიხილავს განცხადებებს, რომლებიც ეხება პოლიტიკურ გაერთიანებებსა და პოლიტიკური ხასიათის მქონე შეკრებებს, ვიდრე სხვა სახის შეკრებებსა თუ გაერთიანებებთან დაკავშირებულ საქმეებს. ეს აიხსნება იმით, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას სტრასბურგის ორგანო მიიჩნევს დემოკრატიული საზოგადოების არსებობის და ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინაპირობად.

სახელმწიფოს კანონმდებლობაში შეკრებების ზოგადი აკრძალვა უფრო მეტ გამართლებასა და არგუმენტაციას მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, ვიდრე კონკრეტული შეკრების აკრძალვა. საქმეში *რაი ალმონდ და ნეგომიით ნაუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁶ ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ განმცხადებლებისათვის შეკრების აკრძალვა ტრაფალგარის მოედანზე (განმცხადებლების შეკრების ძირითადი მიზანი იყო მოწოდება მთავრობისათვის, რათა მას მხარი დაეჭირა ჩრდილოეთ ირლანდიაში სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის ცეცხლის წინასწარ შეწყვეტის გარეშე) არ იყო არაპროპორციული, რადგან მათ აკრძალათ დემონსტრაციის გამართვა მხოლოდ ერთ, ცენტრალური ლონდონის საქვეყნოდ ცნობილ ადგილას. მართალია, გარკვეული ხნით ადრე ტრაფალგარის მოედანზე მოეწყო რამდენიმე მცირე შეკრება ირლანდიის თემასთან დაკავშირებით, მაგრამ კომისიამ დაასკვნა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა სარგებლობდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების ფართო კრიტერიუმებით და უფლებამოსილი იყო აბსოლუტურად ლეგიტიმურად შეეზღუდა შეკრების თავისუფლება. ამასთანავე, კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აკრძალვა არ ატარებდა ზოგად ფორმას, იგი ზღუდავდა შეკრების თავისუფლებას მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილას. თუმცა შეცდომა იქნებოდა, ზემოაღნიშნული საქმის საფუძველზე გვევარაუდა, რომ სტრასბურგის სასამართლო ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს შეკრების ზოგად აკრძალვას სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ იმისათვის, რომ ზოგადი აკრძალვა გამართლებულად ჩაითვალოს, შეუძლებელი უნდა იყოს არეულობის რეალური საფრთხის თავიდან აცილება სხვა, ნაკლებად მკაცრი, მეთოდებით. საქმეში – *ქრისტიანები ფაშიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁷ – ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ორი თვის განმავლობაში ლონდონში დემონსტრაციების ზოგადი აკრძალვა,

⁶ Rai, Allmond and “Negotiate Now” v United Kingdom, application 25522/94, 1995.

⁷ Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom, application 8440/78, 1980.

რომელიც უმთავრესად ეხებოდა ნაციონალური ფრონტის გამოსვლების აკრძალვას, მაგრამ ასევე ზღუდავდა განმცხადებელთა დემონსტრაციას, „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“, იმ დროისათვის ნაციონალური ფრონტის დემონსტრაციების შედეგად წარმოქმნილი დამაბული ვითარების გამო. როდესაც არსებობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების აშკარა საშიშროება და აღნიშნული საკითხი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა განიხილონ შეკრების ორგანიზებასთან დაკავშირებული შეტყობინების მიღებიდან მოკლე ვადაში, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვრით შეკრების თავისუფლების შეზღუდვის დაწესებასთან მიმართებაში, მაგრამ აქ ყურადღება ექცევა ზოგადი აკრძალვის ხანგრძლივობასა და იმ პირთა წრეს, რომელსაც აღნიშნული აკრძალვა ეხება.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება და ნებადართული შეზღუდვები (ზოგადი ასპექტები)

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და, კონკრეტულ შემთხვევებში, სახელმწიფოებს შეუძლიათ მათი შეზღუდვა. კონვენციის მე-11 მუხლის თავისებურებას წარმოადგენს მისი მეორე ნაწილი, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აძლევს გარკვეულ თავისუფლებას, რათა შეზღუდონ მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრული თავისუფლება. ხსენებულ შეზღუდვებს აკისრიათ ურთიერთდაკავშირებული ორი ფუნქცია. პირველ რიგში, ისინი განსაზღვრავენ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ხელშემკვრელ მხარეს, სახელმწიფოს, ენიჭება უფლება, შეზღუდოს შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლება, ანუ პირველი ფუნქცია გამოიხატება სახელმწიფოსათვის შეზღუდვის უფლების მინიჭებაში. მეორე რიგში კი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული დებულებები გარკვეულ ჩარჩოებში აქცევენ შეზღუდვის თავისუფლებას, აწესებენ შეზღუდვის საფუძვლებს და ამით იცავენ ადამიანის უფლების თვითნებურ შეზღუდვას. ზემოთქმული მოწმობს, რომ კონვენციის შიგნით შეიმჩნევა ინტერესთა გარკვეული ჭიდილი ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფოს ინტერესებს შორის. ევროპის სასამართლომ ნათლად წარმოაჩინა ინტერესთა ეს ჭიდილი საქმეში *კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ*⁸.

⁸ Klass and others v. Germany, application 5029/71, 1978.

„კონვენციის სისტემისათვის უცხო არ არის გარკვეული კომპრომისის გაკეთება ადამიანის უფლებათა დაცვასა და დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნათა შორის...“

როგორც 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესავალშია აღნიშნული, ხელშემკვრელი მხარეები

„კვლავ ადასტურებენ რა თავიანთ ღრმა რწმენას იმ ძირითადი თავისუფლებებისა, ... რომელთა განმტკიცება საუკეთესო საშუალებით ხდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი დაცვით, რაზეც ისინი [სახელმწიფოები] დამოკიდებულნი არიან; ... ეს კი ნიშნავს იმას, რომ გარკვეული თანაფარდობა (ბალანსი) უნდა იქნეს დაცული [8-11] მუხლების პირველი ნაწილებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ იმ საჭიროებას შორის, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების დაცვისათვის“.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მე-11 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვები (ისევე, როგორც მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვები) უნდა ემსახუროდეს დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების დაცვას. მართალია, დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების დაცვა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ადამიანის უფლების შეზღუდვისათვის, მაგრამ იგი ერთადერთი არაა, კონვენციის განმარტებით, მხოლოდ ამ უკანასკნელის დაცვა არ არის საკმარისი, რათა გამართლებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ 8-11 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა შეზღუდვა. კონვენცია იმპერატიულად განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც სახელმწიფოს მიერ უფლების შეზღუდვა ჩაითვლება კონვენციასთან შესაბამისად. უფლების შეზღუდვა:

1. გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით;

- შეზღუდვის დადგენა კანონმდებლობით თავისთავად არ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს. კონვენცია აწესებს კანონისადმი, რომელიც ზღუდავს უფლებას, შემდეგ მოთხოვნებს:

1. კანონი უნდა იყოს სამართლიანი;
2. კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი;
3. კანონი უნდა იყოს ნათელი (განჭვრეტადი).

კანონის სამართლიანობის ცნებაში ევროპული სასამართლო გულისხმობს, თუ რომელი კონკრეტული უფლებამოსილებები გააჩნია უშუალოდ უფლებაში ჩარევის განმახორციელებელ ორგანოს, სამართლებრივი დაცვის რომელი საშუალებებია გათვალისწინებული უფლების დარღვევის პრევენციის ან გამომძიების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ევროპის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეებზე *მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁹ და *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹⁰.

„კანონის სამართლიანობის საწინააღმდეგოდ ჩაითვლება აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭება, რომელიც გამოხატული იქნება შეუზღუდავი ძალაუფლების ფორმით. შესაბამისად კანონი უნდა მიუთითებდეს [აწესებდეს] სათანადო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის მოქმედების თავისუფლების საზღვრებსა და პირობებს, კანონიერი მიზნის ... გათვალისწინებით“ (*მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*).

კანონის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება მოქალაქეების შესაძლებლობა, კანონის მიღებიდან გონიერ ვადაში გაეცნონ და ჩასწვდნენ კანონის არსს, რომელიც დადგენილ საზღვრებში ზღუდავს მათ უფლებას, კომპეტენტური პირებისაგან მიიღონ აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით განმარტებები.

„პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადეკვატურად ხელმისაწვდომი: მოქალაქეს საშუალება უნდა ჰქონდეს რათა საჭიროების შემთხვევაში მიეცეს განმარტება კანონთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყენება მოცემულ საქმეზე შესაბამის პირობებში“.¹¹

კანონის განჭვრეტადობაში (foreseeability) იგულისხმება მოქალაქის უნარი, ადეკვატურად აღიქვას კანონში ჩამოყალიბებული დებულებები და თავისი ქცევა შეუსაბამოს აღნიშნულ დებულებებს.

„მეორე რიგში, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს კანონად [კონვენციის გაგებით] თუ კი იგი არ არის საკმარისად ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული იმისათვის, რომ მოქალაქემ რეგულირება გაუკეთოს [მასთან შესაბამისობაში მოიყვანოს] თავის ქცევას“¹².

⁹ Melone v. The United Kingdom, application 8691/79, 1984.

¹⁰ Handiside v. The United Kingdom, application 5493/72, 1976.

¹¹ Handiside v. The United Kingdom, application 5493/72, 1976.

¹² Handiside v. The United Kingdom, application 5493/72, 1976.

2. უნდა ემსახურებოდეს მე-8-მე-11 მუხლების მეორე ნაწილში მითითებულ რომელიმე კანონიერ მიზანს;

შეკრების და გაერთიანების თავისუფლების შემთხვევაში შეზღუდვა ნებადართულია შემდეგი კანონიერი მიზნებიდან ერთ-ერთი მათგანის მისაღწევად: ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უწყსრიგობის ან დანაშაულის აღკვეთა, ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

3. აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული;

პროპორციულობა: შეკრების გამართვის დროსთან, ადგილთან და ფორმატთან დაკავშირებით დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული. ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროცესში ხელისუფლებამ ყოველთვის უპირატესობა უნდა მიაანიჭოს ზომებს, რომლებიც მცირე მასშტაბის ინტერვენციას მოითხოვს. პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, ხელისუფლებამ არ უნდა დააწესოს ისეთი შეზღუდვები, რომლებიც ფუნდამენტურად შეცვლის კონკრეტული ღონისძიების ხასიათს, მაგალითად, შეკრების ქალაქის ცენტრიდან გადატანა ან მიზნობრივი აუდიტორიის თვალთახედვის არეალში კონკრეტული შეკრების გამართვის აკრძალვა¹³.

აუცილებლობა: დემოკრატიულ საზოგადოებაში შეკრების უფლებით სარგებლობაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოების ჯანმრთელობის ან ზნეობრივი ნორმების დაცვის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. აუცილებლობის ტესტი, კონკრეტულ გარემოებებში, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობის დადასტურებას მოითხოვს¹⁴.

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, სახელმწიფოებმა არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავონ გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესებისაგან, არამედ უნდა დაიცვან ეს უფლება. სახელმწიფოებმა, „პოზიტიური“ ვალდებულების ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყონ შეკრების მონაწილე პირებს ამ უფლებით ეფექტიანად სარგებლობაში¹⁵.

¹³ Human Rights Handbook on Policing Assemblies; published by the OSCE; OSCE/ODIHR 2016; p. 23.

¹⁴ Ibid, p. 23.

¹⁵ Djavit An v. Turkey, application 20652/92, 2003, §57; Kudrevicius and Others v. Lithuania, application 37553/05, 2015 [GC], §158.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როცა შეკრების მონაწილე პირები წარმოადგენენ უმცირესობებს და უმრავლესობისთვის არაპოპულარულ მოსაზრებებს ავრცელებენ, ვინაიდან ისინი უფრო მოწყვლადები არიან ვიქტიმიზაციის კუთხით.¹⁶

არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, უზრუნველყონ კანონიერი და მშვიდობიანი შეკრების ჩატარება და შეკრების მონაწილე მოქალაქეების უსაფრთხოება. თუმცა, ბუნებრივია, მათ არ შეუძლიათ ამის სრულად გარანტირება და, შესაბამისად, გააჩნიათ მოქმედების ფართო დისკრეცია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

შეკრების უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, აღნიშნული უფლების დაცვისა და მისი ხელშეწყობის კუთხით, მთავარი პასუხისმგებლობა პოლიციას აკისრია, რადგან პოლიცია წარმოადგენს მთავარ სტრუქტურას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მხრივ. ამაში შედის ისეთი მშვიდობიანი შეკრებების დაცვა, რომლებიც შეიძლება ახდენდეს სხვა ჯგუფების პროვოცირებას და მათი გრძნობების შეურაცხყოფას. ასევე იგულისხმება ისეთი შეკრებების დაცვა, რომლებსაც შეუძლიათ ყოველდღიური აქტივობების შეფერხება და, შესაბამისად, იმ პირებისათვის დისკომფორტის შექმნა, რომლებიც არ მონაწილეობენ შეკრებებში.

როდესაც მშვიდობიანი საპროტესტო აქცია სხვა ადამიანების უფლებებზე და თავისუფლებებზე ახდენს ზეგავლენას, ამ უფლებებისა და შეკრების თავისუფლების ერთმანეთთან დაბალანსება ხშირად პოლიციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. შეკრების თავისუფლება გულისხმობს მშვიდობიანად შეკრების უფლებას. შეკრების უფლებით სარგებლობისას ძალადობრივი ქმედებების განხორციელების უფლება არ არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი შეკრებაში მონაწილეობის დროს ძალადობრივად იქცევა, იგი ადამიანის დაცული უფლებით აღარ სარგებლობს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული აქციის რამდენიმე მონაწილის მიერ განხორციელებული ძალადობრივი აქტები აუცილებლად არ გულისხმობს, რომ ამან გავლენა უნდა მოახდინოს აქციის დანარჩენი მშვიდობიანი მონაწილეების შეკრების უფლებაზე.

შეკრების ფორმები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ახდენს შეკრებისა და გაერთიანების დეფინიციას, თუმცა ორივე ტერმინი გულისხმობს ადამიანების ჯგუფს, რომლებიც იკრიბებიან მიზანმიმართულად და დროებით, რათა კოლექტიურად გამოხატონ მოსაზრებები და შეხედულებები. საქმეში *ნავალნი*

¹⁶ *Bączkowski and Others v. Poland*, application 1543/06, 2007, §64.

რუსეთის წინააღმდეგ¹⁷ სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო საჭირო შეკრების დეფინიცია, რადგან ეს შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ხსენებული კონცეფციის ვიწროდ განმარტებისა და თვითნებური შეზღუდვების დასაწესებლად.

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ იმავე ნავალნის საქმეში დაადგინა, რომ შეკრებას ავტონომიური მნიშვნელობა გააჩნია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ რეგულირდება ეს კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით, ანუ საჭიროებს თუ არა წინასწარ შეტყობინებას და/ან ავტორიზაციას, ან არის თუ არა შეკრების კონკრეტული ფორმა გათავისუფლებული მსგავსი პროცედურებისგან.

საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულია საჯარო შეკრებების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის: შეხვედრები, მიტინგები, პიკეტები, დემონსტრაციები, მარშები, მსვლელობები, ალღუმები, პანტომიმი და ფლეშმობები. ყველა ეს ფორმა დაცულია მშვიდობიანი შეკრების უფლებით.

შეკრების შეზღუდვის კონკრეტული მხარეები

რადგანაც შეკრების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, დასაშვებია მშვიდობიანი შეკრებების შეზღუდვა და კანონიერად რეგულირება იმ შემთხვევებში, როცა ამას ეროვნულ უშიშროებასთან ან საზოგადოების უსაფრთხოებასთან, საზოგადოებრივ წესრიგთან, ჯანდაცვასთან ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებული გარემოებები მოითხოვს. ამასთან, ადამიანებს არ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ შეკრების და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობაზე, თუკი ისინი ამ უფლებას იყენებენ სხვა პირების უფლებების მნიშვნელოვნად შეზღუდვის ან დარღვევის მიზნით (კონვენციის მე-17 მუხლი). სამართლიანობის მიზნებიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევებში უნდა მოხდეს უფლებების დაბალანსება¹⁸.

ტერმინი „შეზღუდვა“ თანაბრად ვრცელდება შეკრების დაგეგმვისა და აქტიურ ფაზებზე და გულისხმობს შეკრების შემდგომ, „სადამსჯელო“, ეტაპსაც. ადამიანისთვის მგზავრობაზე (მოგზაურობა) უარის თქმა იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ ადამიანის შეკრებაში მონაწილეობის ხელის შეშლა, უთანაბრდება შეზღუდვას, ისევე, როგორც შეკრების დროს გაცემული ხელისშემშლელი დირექტივები, მონაწილეების დაკავება და ჯარიმების დაწესება მონაწილეებისთვის¹⁹.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ მშვიდობიან

¹⁷ Navalnyy v. Russia, application 29580/12 and 4 others, 2018, [GC]; §98.

¹⁸ See supra 1, p. 10.

¹⁹ Kasparov and Others v. Russia, application 21613/07, §84; Gafgaz Mammadov v. Azerbaijan, application 60259/11, §50.

შეკრებებზე და მისი მოქმედების ჩარჩო არ მოიცავს ძალადობრივ შეკრებებს, ან შეკრებებს, რომელთა ორგანიზატორებს ან მონაწილეებს ძალადობრივი მიზნები აქვთ²⁰. შეკრების მშვიდობიანი მიზანი უნდა განსხვავდებოდეს კონკრეტული პირის ან მომჩივანის ქცევის შეფასებისგან. ეს უკანასკნელი უნდა შეფასდეს პროპორციულობის ანალიზისას, ანუ იყო თუ არა გამოყენებული ზომები „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“²¹.

საქმეში *ევა მოლნარი უნგრეთის წინააღმდეგ*²² მოსარჩელე ჩიოდა, რომ დემონსტრაციის დაშლა მოხდა მხოლოდ იმის გამო, რომ პოლიციას არ ჰქონდა მიღებული წინასწარი ინფორმაცია დემონსტრაციასთან დაკავშირებით. საქმის ფაქტობრივი გარემოებები იყო შემდეგი: 2002 წლის აპრილის არჩევნების შემდეგ, 2002 წლის 4 ივლისს, მომჩივანმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში, რომელიც ითხოვდა არჩევნების ხმების გადათვლას. ის დემონსტრაციას შეუერთდა დაახლოებით 19:00 საათზე, როცა პოლიციას დაკეტილი ჰქონდა გზა დემონსტრაციის ჩატარების მიზნით. დაახლოებით 21:00 საათისთვის, როდესაც გზაზე სიტუაცია წარმოუდგენლად გართულდა, პოლიციამ ძალის გამოყენების გარეშე დაშალა დემონსტრაცია.

მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას, რადგან პოლიციის ჩარევა დემონსტრაციაში არ იყო არაგონივრული. კერძოდ, სასამართლო დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ პოლიციის ჩარევას ჰქონდა კანონიერი მიზანი, აეცილებინა არეულობა და დაეცვა სხვა ადამიანების უფლებები. სასამართლომ ასევე განიხილა, რომ დემონსტრაცია დაიწყო უკანონოდ, ბუდაპეშტის მთავარი ხიდის ბლოკირებით, რაშიც მოსარჩელე მონაწილეობდა. სასამართლომ ასევე იმსჯელა, რომ აქცია დაიწყო 13:00 საათზე და პოლიციას მისი დაშლა არ უცდია 21:00 საათამდე, შესაბამისად, მოსარჩელეს საკმარისი დრო ჰქონდა, გამოეხატა სოლიდარობა სხვა დემონსტრანტების მიმართ. სასამართლომ დადებითად შეაფასა ფაქტი, რომ პოლიციამ აჩვენა ტოლერანტული დამოკიდებულება დემონსტრანტების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინასწარ არ იცოდნენ დაგეგმილი აქციის თაობაზე, რომელმაც დაარღვია საჯარო წესრიგი და მნიშვნელოვნად შეაფერხა მოძრაობა. აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეში დემონსტრაციის დაშლა არ იყო არაპროპორციული, მით უმეტეს, არ მომხდარა რაიმე სახის არაპროპორციული ძალის გამოყენება.

თუმცა ყველა ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული.²³ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეზღუდვები კონკრეტულ სოციალურ საჭიროებაზე მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლი შეკრების შეზღუდვის საფუძვლებს განსაზღვრავს:

²⁰ Kudrevicius and Others v. Lithuania, application 37553/05, 2015 [GC], §92.

²¹ Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights - Freedom of assembly and association; updated on 31 December 2020; p. 10.

²² Eva Molnar v. The United Kingdom, application 10346/05, 2008.

²³ Human Rights Handbook on Policing Assemblies; Published by the OSCE; OSCE/ODIHR 2016; p. 21.

„ამ უფლებით სარგებლობისას შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობრივი ნორმების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.²⁴

შეკრების ორგანიზატორების მხრიდან არსებული ძალადობრივი მიზნების მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს.²⁵

იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს შეკრების მშვიდობიანი ფორმატიდან ამოვარდნის რეალური რისკი, ის მაინც ხვდება კონვენციის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის მოქმედების სფეროში და ნებისმიერი დაწესებული შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმავე მუხლის მეორე ნაწილს.

საქმეში *ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ*²⁶ მოსარჩელე ჩიოდა, რომ პოლიციამ შეზღუდა მისი შეკრების უფლება, როდესაც აკრძალა მარშის ფორმით დემონსტრაციის ჩატარება. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი, ვინაიდან პოლიციის ჩარევა იყო არაპროპორციული და არასაჭირო არეულობის აღსაკვეთად. სასამართლომ აღნიშნა, რომ 50 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ცდილობდა პრობლემის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, არ წარმოადგენდა საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისთვის. რადგან დაახლოებით შუადღისას დაწყებული დემონსტრაცია პოლიციის ჩარევის შემდეგ, ნახევარ საათში, დასრულდა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მოუთმენლობას იმ დემონსტრაციის სასწრაფოდ დასასრულებლად, რომელიც ადამიანის უფლებების ასოციაციის ეგიდით ტარდებოდა. სასამართლოს შეხედულებით, მაშინ, როცა დემონსტრანტების მხრიდან არ ჰქონია ადგილი არანაირ ძალადობრივ აქტს, საჯარო უწყებებს უნდა ეჩვენებინათ მშვიდობიანი შეკრების მიმართ ტოლერნატული მიდგომის გარკვეული დონე, რათა კონვენციის მე-11 მუხლს არ გამოეცალოს მთელი მისი არსი.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, შეკრებების შეზღუდვა შეიძლება „დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებლობიდან“ გამომდინარე. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ სახელმწიფოებს, თუმცა მათ არ გააჩნიათ შეუზღუდავი შეფასების ზღვარი²⁷. ქმედების ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაზე ბოლო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის.²⁸

²⁴International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), (New York City: United Nations General Assembly, 1966), Resolution 2200A (XXI).

²⁵ Christian Democratic People's Party v. Moldova (2), application 25196/04, 2010; §23.

²⁶ Oya Ataman v. Turkey, application 74552/01, 2006.

²⁷ Barraco v. France, application 31684/05, 2009, §42.

²⁸ Galstyan v Armenia, application 26986/03, 2007, §114.

სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, შეკრებების შეზღუდვასთან მიმართებით არსებობს რამდენიმე მიდგომა შეფასების ზღვართან დაკავშირებით. ესენია:

- შეფასების ვიწრო ზღვარი შეკრებაზე გამოხატული შინაარსის გამო ჩარევასთან დაკავშირებით;
- შეფასების ვიწრო ზღვარი შეკრებებთან დაკავშირებით ზოგადი აკრძალვის მიმართ;
- შეფასების ფართო ზღვარი მიზანმიმართული დარღვევების მიმართ, რაც უკავშირდება ჩვეული ცხოვრების და მოძრაობის დარღვევას;
- მსუსხავი ეფექტი.

შეფასების ვიწრო ზღვარი

განსხვავება უნდა გაკეთდეს შინაარსის გამო დაწესებულ შეზღუდვასა და ტექნიკური ხასიათის შეზღუდვას შორის. შინაარსის გამო დაწესებული შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს უმცირესობების მხრიდან გაჟღერებული მოსაზრებების და მესიჯების შეუწყნარებლობას უმრავლესობის მხრიდან და ამის საფუძველზე შეკრების შეზღუდვის დაწესებას, შეუთავსებელია კონვენციის მე-11 მუხლის არსებით ღირებულებებთან.²⁹

ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, აკრძალოს დემონსტრაცია იმ საფუძველით, რომ დემონსტრანტების მესიჯები არის „არასწორი“. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა შეკრების კრიტიკის ობიექტი არის ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია მსგავსი აკრძალვების დაწესება. შინაარსის საფუძველზე დაწესებული შეზღუდვა შეკრების თავისუფლებაზე ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან ყველაზე სკრუპულოზურ შემოწმებას.³⁰

დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული სისტემის და რეჟიმების მიმართ გამოწვევების პოზირება უნდა იყოს უზრუნველყოფილი და ამის გამომხატველ პირებს უნდა მიეცეთ კანონიერად გამოხატვის შესაბამისი შესაძლებლობები.³¹

შეფასების ვიწრო ზღვარი ზოგად აკრძალვებთან მიმართებით

ევროპული სასამართლოს თანახმად, ზოგადი აკრძალვა დემონსტრაციებთან დაკავშირებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამართლებული, თუ

²⁹ Alekseyev v. Russia, application 4916/07, 25924/08 and 14599/09, 2010, §81; Barankevich v. Russia, application 10519/03, 2007, §31.

³⁰ Navalnyy v. Russia, application 29580/12 and 4 others, 2018 [GC], §134; Primov and Others v. Russia, application 17391/06, 2014, §134-135.

³¹ Stankov and the United Macedonian Organisation Ilinden v. Bulgaria, application 29221/95 & 29225/95, 2001, §97; Sergey Kuznetsov v. Russia, application 10877/04, 2008, §45.

არსებობს არეულობაში გადაზრდის რეალური საფრთხე, რომლის პრევენციაც შეუძლებელია სხვა, უფრო მსუბუქი, ზომებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება შეკრებაზე ზოგადი აკრძალვის გამართლება, თუ ნათლად ჩანს, რომ დემონსტრაციების ჩატარებას ბევრად მეტი ზიანის მოტანა შეუძლია უსაფრთხოების მხრივ, ვიდრე მის არჩატარებას და თუ არ არსებობს შესაძლებლობა, რომ მოხდეს უფრო ვიწრო, ინდივიდუალური აკრძალვის (მაგალითად, ტერიტორია, ხანგრძლივობა) დაწესება.³²

შეფასების ფართო ზღვარი

იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი შეკრება მიზანმიმართულად არღვევს ყოველდღიური ცხოვრების რიტმსა და მასთან დაკავშირებულ რუტინას, სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ მსგავსი შეკრების შეზღუდვა. აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ზღვარი. აღსანიშნავია, რომ დისკრეციის მოცემულ საზღვრებში მოქმედებისას, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ კონვენციის მე-11 მუხლით დაცული უფლებები და პრინციპები. გადაწყვეტილება შეზღუდვასთან დაკავშირებით უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი ფაქტებიდან, რათა არ დაირღვეს კონვენციის მე-11 მუხლი.

მსუსხავი ეფექტი

შეზღუდვის პროპორციულობის განხილვისას აუცილებლად აღსანიშნავია მსუსხავი ეფექტი. კერძოდ, დემონსტრაციის წინასწარ აკრძალვის შედეგად, ბევრმა ადამიანმა დემონსტრაციაში მონაწილეობისგან შეიძლება თავი შეიკავოს. ფაქტმა, რომ შეკრებას არ ექნება ავტორიზაცია (იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ავტორიზაცია საჭიროა), შეიძლება ბევრი ადამიანი ჩამოაცილოს შეკრებას.

შესაბამისად, ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, მათ შორის, შეკრებების დაშლა, დემონსტრანტების დაპატიმრება, დაკავება და ადმინისტრაციული პატიმრობა, მაღალი ალბათობით გამოიწვევს მოსახლეობის დემოტივაციას შემდგომ შეკრებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.³³ საკმაოდ რთულია მსუსხავი ეფექტის შეცვლა იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეიცვლება ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ძალაში შესული გადაწყვეტილება.³⁴ სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულ ზომებს აქვთ პოტენციალი, შეაკავონ ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები დემონსტრაციაში მონაწილეობისგან და არ მისცენ მათ მოსაზრებისა და დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა. ამასთან, მსუსხავი ეფექტის შედეგად, მოსალოდნელი იქნება პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობისგან თავის შეკავებაც.

³² Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom, application 8440/78, 1980.

³³ Balçık and Others v. Turkey, application 25/02, 2007, §41.

³⁴ The United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria, application 37586/04, 2011, §135.

მსუსხავი ეფექტი შესაძლოა გაძლიერდეს, თუ სამიზნე გახდება საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი პირი და მედია ამ ფაქტს ფართოდ გააშუქებს.³⁵

შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის ძირითადი პრინციპები

ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა უნდა იყოს თანამედროვე საპოლიციო მოქმედებების (მათ შორის, საჯარო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის) საფუძველი. ამაში იგულისხმება, რომ პოლიციას აკისრია შესაბამისი ზომების მიღების პასუხისმგებლობა, რათა ადამიანებს საკუთარი უფლებების გამოყენების საშუალება ჰქონდეთ; პოლიციას უნდა ესმოდეს, რომ იგი არ უნდა ჩაერიოს კონკრეტული შეკრების მსვლელობაში და ყოველთვის მიუკერძოებლად უნდა მოქმედებდეს.³⁶

პოლიციის მთავარი მოვალეობაა კანონიერების და წესრიგის დაცვა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, მასთან ბრძოლა და საზოგადოებისთვის დახმარების და მომსახურების გაწევა. შესაბამისად, მოვალეობების განხორციელებისას, პოლიციელები უნდა ხელმძღვანელობდნენ შემდეგი პრინციპებით:

- კანონის უზენაესობის დაცვა: პოლიციამ უნდა იმოქმედოს აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- პოლიციის ეთიკის კოდექსი და ადამიანის უფლებები: სიცოცხლის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა და შენარჩუნება პოლიციის მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს;
- პოლიციის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა: პოლიცია უნდა თვლიდეს რომ ანგარიშვალდებულია მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების, სახელმწიფოსა და კანონის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ შეკრებების განმავლობაში წესრიგის დაცვა და მონიტორინგი შედგება სამი ეტაპისგან. ესენია:

- შეკრებამდე ეტაპი – დაგეგმვა;
- შეკრება;
- შეკრების შემდგომი ეტაპი.

ყველა ეტაპის სწორი დაგეგმვა არის არსებითად მნიშვნელოვანი შეკრების ეფექტიანი მონიტორინგისთვის.

³⁵ Nemtsov v. Russia, application 1774/11, 2014, §77-78.

³⁶ Ibid, p. 28

მნიშვნელოვანია, პოლიციელებს ადამიანების ქცევა სწორად ესმოდეთ. შეკრებების დროს ადამიანების ქცევის ცოდნა არის, ან უნდა იყოს, ის საფუძველი, რომელსაც დაეფუძნება დანარჩენი ქმედებები. მათ შორის, რეაგირების დაგეგმვა და განხორციელება.

იმისათვის, რომ შეკრების ჩატარება განხორციელდეს მშვიდობიან ფორმატში და პოლიციელებმა შეძლონ დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, მათ უნდა იხელმძღვანელონ ოთხი ძირითადი პრინციპით³⁷:

✓ ინფორმაციის შეგროვება

შეკრებაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფის თაობაზე ინფორმაციის ქონა. ამგვარი ინფორმაცია პოლიციას ჯგუფების ინტერესებისა და მიზნების გაგებაში ეხმარება და მათი კანონიერი მიზნების შესაბამისი ქმედებების განხორციელების ხელშეწყობის საშუალებას წარმოადგენს. ამ ცოდნის მეშვეობით სამართალდამცავები ასევე იგებენ, როგორი ტიპის ქმედებებს აღიქვამს ესა თუ ის ჯგუფი პოლიციის მხრიდან პროვოკაციულად, რასაც კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია.

ოპერაციის წინ ყურადღება პოლიციის მიერ ინფორმაციის შეგროვებასა და შეკრებაში მონაწილე ჯგუფებისა და მათი მიზნების შესახებ მეტი მონაცემების მიღებაზე უნდა იყოს გამახვილებული. ამასთან, პოლიცია ორიენტირებული უნდა იყოს იმ პირების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, რომლებიც პოტენციურად რისკის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს (სისხლისსამართლებლივი კუთხით ოპერატიული მონაცემების შეგროვება).

✓ ფასილიტაცია

პოლიციამ ხელი უნდა შეუწყოს მანიფესტანტებს შეკრების მიზნის მიღწევაში. უნდა მოაწესრიგოს ორგანიზატორებთან ურთერთობა, რათა დროულად მოხდეს არეულობების იდენტიფიცირება და თავიდან არიდება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ძალადობის ან არეულობის საფრთხე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეკრების ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის იმის ახსნა, თუ რატომ არის შეზღუდვები აუცილებელი; ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის ალტერნატიული გზების შეთავაზება, რათა მათ საკუთარი მიზნების მიღწევა შეძლონ.

✓ კომუნიკაცია

³⁷ Ibid, p. 30.

პოლიციის აქტიური კომუნიკაცია შეკრების ორგანიზატორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან; კომუნიკაცია უნდა შედგეს ოპერაციის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა დამაბულობა იზრდება.

თუ შეზღუდვების დაწესება აუცილებელია, მნიშვნელოვანია, რომ შეკრების მონაწილეებს, გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ეცნობოთ გამომწვევი მიზეზების შესახებ; პოლიციამ სხვა ალტერნატივებიც უნდა შესთავაზოს შეკრების მონაწილე ჯგუფებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ყველა პოლიციელს შეეძლოს კომუნიკაცია და მონაწილეებისა და საზოგადოების წევრების ინფორმირება კონკრეტული ღონისძიების დროს პოლიციის განზრახვების შესახებ.

✓ ნდობა

ნდობა პოლიციასა და საზოგადოებას შორის არის არსებითად მნიშვნელოვანი შეკრების მშვიდობიანად ჩატარების მიზნებისათვის. ეს არის თანამშრომლობის საფუძველი პოლიციისთვის, რათა მან ეფექტურად განახორციელოს ოპერაციები.

ნდობის დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს პოლიციის მხრიდან ერთმა ნეგატიურმა ქცევამაც კი. უკანონო ქმედება პოლიციის მხრიდან აუცილებლად გამოიწვევს შეკრებილი ხალხის რწმენის შერყევას და კითხვის ნიშნები გაჩნდება პოლიციის მითითებების მიმართ, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს პროცესების მართვას.

✓ დიფერენცია

შეკრებების კონტექსტში მნიშვნელოვან რისკფაქტორს და პოტენციურად საფრთხის მატარებელ მიდგომას კონკრეტულ ჯგუფში შემავალი ყველა ადამიანის ერთნაირად აღქმა და მათ მიმართ ერთნაირი ქცევა წარმოადგენს. ადამიანებს შორის დიფერენცირების ერთ-ერთი საშუალებაა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ იქცევა თითოეული მათგანი და არა იმ კატეგორიაზე კონცენტრირება, რომელსაც ესა თუ ის პირი შეიძლება მიეკუთვნებოდეს.

ადამიანთა ჯგუფი არ არის ერთგვაროვანი, მაგრამ პოლიციის ქცევამ შეიძლება ამისი პროვოცირება მოახდინოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პოლიცია თავიდანვე იყოს ინფორმირებული შეკრებაში მონაწილე ჯგუფების თაობაზე და საწყის ეტაპზე მოახდინოს მათი დიფერენცირება.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ შეკრებები ბევრი სხვადასხვა ჯგუფისგან შეიძლება შედგებოდეს, რომლებსაც განსხვავებული დღის წესრიგი და მიზნები შესაძლოა ამოძრავებდეთ და რომლებსაც პოლიციის მიმართ სხვადასხვანაირი დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეთ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიცია იყოს ტოლერანტული.³⁸ პოლიციას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მართალია, მათ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის და კანონის დაცვა წარმოადგენს, მაგრამ მათი როლი მათ გარკვეული ხარისხის დისკრეციის საშუალებას აძლევს. შეკრებების დროს წესრიგის დაცვის პროცესში პოლიცია მზად უნდა იყოს კანონის მცირე დარღვევები ან არამართლზომიერი ქცევები მოითმინოს.

კანონის ზედმეტად მკაცრ გამოყენებას შეკრების მონაწილეების გაღიზიანება შეიძლება მოჰყვეს, რამაც დამაბულობის ესკალაცია და პოლიციის მიმართ ანტაგონიზმის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს.

ასევე პოლიციელებმა უნდა აღრიცხონ მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული ჩანაწერები ღონისძიების შეჯამების დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჩართული პირებისა და ხელმძღვანელობისათვის.

ძალის გამოყენება, როგორც უკიდურესი ზომა

შეკრებებთან დაკავშირებით ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ შეკრებები იწვევს ყოველდღიური რუტინის დარღვევას და შესაძლოა საჯარო სივრცეში დიდი რაოდენობით ადამიანების შეკრება არეულობაში ან ძალადობაში გადაიზარდოს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჯარო შეკრებების უმრავლესობა მშვიდობიანად ტარდება და თუ პოლიცია შეასრულებს მოვალეობებს და დაიცავს ძირითად პრინციპებს, კიდევ უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის.

გარკვეულ შემთხვევებში პოლიციამ შეიძლება ჩათვალოს, რომ მანიფესტანტების მხრიდან ძალადობრივ ქცევაზე რეაგირებისთვის საჭიროა ძალის გამოყენება. წესრიგის აღდგენის მიზნით ძალის გამოყენება ყოველთვის პროპორციული და მინიმალური უნდა იყოს. ძალის ნებისმიერ გამოყენებას ან პოლიციელთა რაოდენობის ზრდას სიტუაციის დამშვიდებისთანავე სწრაფად უნდა მოჰყვეს ძალის გამოყენების შეწყვეტა და პოლიციელთა რაოდენობის შემცირება.

იმ შემთხვევაში, თუ შეკრების ხასიათიდან ან განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, პოლიცია გადაწყვეტს, რომ აუცილებელია ძალის გამოყენება, მან აუცილებლად უნდა მოახდინოს ჯგუფების დიფერენცირება და მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს ძალა.

ძალის გამოყენების რეგულირება შედგება სამი ძირითადი პრინციპისგან³⁹:

1. აუცილებლობის პრინციპი;
2. პროპორციულობის პრინციპი;

³⁸ See supra 14, p. 120.

³⁹ Use of Force in Law Enforcement and the Rights to Life; The role of the Human Rights Council; Geneva November 2016; Geneva Academy; p. 6.

3. სიფრთხილის ვალდებულება.

აუცილებლობა და პროპორციულობა ადგენს ძალის გამოყენების შეზღუდვებს, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს ძალის გამოყენება კანონიერად, საპოლიციო ქმედებების განხორციელებისას. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ერთი-ერთი პრინციპის გათვალისწინება, ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებები.⁴⁰

აუცილებლობის პრინციპის ერთ-ერთი მახასიათებელია, რომ როდესაც გარდაუვალია ძალის გამოყენება, გარემოებებიდან გამომდინარე, მხოლოდ მინიმალური ძალა უნდა იქნეს გამოყენებული. შესაბამისად, უნდა მოხდეს პოტენციური მოძალადეების დაპატიმრება და არა მათთვის სიცოცხლის მოსპობა, როცა ეს შესაძლებელია.⁴¹

საქმეში *ბოუიდი ბელგიის წინააღმდეგ*⁴² ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირის მიმართ სამართალდამცავების მხრიდან გამოყენებული ფიზიკური ძალა, რომელიც არ იქნება მკაცრი აუცილებლობით გამოწვეული, ხელყოფს ადამიანის ღირსებას და არღვევს ადამიანის უფლებას, იყოს თავისუფალი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი ქმედებისგან. შესაბამისად, ძალის გამოყენების ყველა ეპიზოდი უნდა იყოს გამართლებული და გამართლებადი. ეს ასევე ნიშნავს, რომ, როცა მინიმალური ძალის გამოყენებით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს პოლიციის მიერ დასახული მიზანი, დამატებითი ძალის გამოყენება აღარ უნდა მოხდეს.⁴³

მოცემული დოკუმენტის ცალკე ნაწილში განხილულია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევასა და ძალის გამოყენების პრინციპების ინტერპრეტაციაზე კონვენციის მე-11 მუხლთან კავშირში.

აუცილებლობის პრინციპის თანხვედრის შემდეგ, დგება პროპორციულობის პრინციპის შესაბამისობის განხილვის ეტაპი. მაშინ, როცა გამოყენებული ძალა შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად, ის გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს არაპროპორციული.

საქმეში *ლაგუნა გუზმანი ესპანეთის წინააღმდეგ*⁴⁴ ადგილი ჰქონდა სპონტანური დემონსტრაციის დაშლას პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებით. მომჩივანი აცხადებდა, რომ პოლიციის მხრიდან გამოყენებული ძალა მნიშვნელოვნად

⁴⁰ Ibid, p. 6.

⁴¹ N.S. Rodley, 'Integrity of the Person', in D. Moeckli et al (eds) International Human Rights Law, Oxford University Press (OUP), 2010, p. 223.

⁴² Bouyid v. Belgium, application 23380/09, 2015.

⁴³ See supra 26, p. 8.

⁴⁴ Laguna Guzman v. Spain, application 41462/17, 2020.

არაპროპორციული იყო მისი და სხვა დემონსტრანტების მიმართ და რომ ამის შედეგად მან მიიღო მძიმე დაზიანებები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი მოსარჩელეს სასარგებლოდ, იქიდან გამომდინარე, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა იყო გაუმართლებელი და უტოლდებოდა არაპროპორციულ ჩარევას მომჩივანის უფლებებში. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სპონტანური პროტესტი მშვიდობიანი იყო მის დაშლამდე და მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა სპონტანური აქციის დაშლის არსებითი და შესაბამისი გამართლება. უფრო მეტიც, თვითონ მოსარჩელე არ ყოფილა არც დაკავებული და არც ბრალდებული პროტესტის დროს რაიმე ძალადობრივი აქტის გამო.

ძალის გამოყენების ძირითადი პრინციპები და რეგულაციები დამტკიცდა გაერთიანებული ერების მერვე კონგრესზე⁴⁵, რომელზეც დადგინდა, რომ მთავრობებმა და სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა მიიღონ წესები და რეგულაციები სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მხრიდან პირების მიმართ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე. ამავე დოკუმენტში ხაზი გაესვა მთავრობებისა და სამართალდამცავი უწყებების ვალდებულებას, ასეთი წესების შემუშავებისას იხელმძღვანელონ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკის ნორმებით.⁴⁶

ამავე დოკუმენტით მთავრობებს დაევალებათ შეიმუშაონ წესები, რომლებიც მოქმედების ფართო დიაპაზონს მისცემს სამართალდამცველებს და მათ ექნებათ ყველანაირი აღჭურვილობა განსხვავებული ტიპის ძალის და იარაღის გამოსაყენებლად. ეს უნდა მოიცავდეს არალეტალურ იარაღს და მაქსიმალურად ზღუდავდეს ადამიანების მიმართ ზიანის მიყენების ან სიცოცხლის მოსპობის გამომწვევი იარაღების გამოყენებას.⁴⁷

ყველა შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თავიდან არიდება, სამართალდამცველმა უნდა⁴⁸:

- იმოქმედოს შეზღუდვების შესაბამისად და დანაშაულის სერიოზულობის პროპორციულად, სამართლებრივი მიზნის მისაღწევად;
- მინიმუმამდე დაიყვანოს მიყენებული ზარალი და ზიანი, პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები;
- დარწმუნდეს რომ საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მოხდება დაუყოვნებლივ;

⁴⁵ Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials; Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990.

⁴⁶ Ibid, §1.

⁴⁷ Ibid, §2.

⁴⁸ Ibid, §5.

- დარწმუნდეს, რომ დაზარალებულის ნათესავებს ან მეგობრებს მიეწოდათ ინფორმაცია შეძლებისდაგვარად სწრაფად.

იმ შემთხვევაში, თუ ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან დაზიანებები, ამის თაობაზე პოლიციის თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ზედამხედველ სამსახურებს. ასევე მთავრობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა სამართალდამცველების მიერ არასწორად ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენების გადამეტება დაისაჯოს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

აღსანიშნავია, რომ არ შეიძლება ცალკეული პოლიციელებისგან ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით მუდმივად სწორი გადაწყვეტილებების მიღებას ველოდოთ.⁴⁹ ამისათვის მათ მუდმივ რეჟიმში უნდა უტარდებოდეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.⁵⁰

გამონაკლისი შემთხვევები, როგორებიცაა შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა საგანგებო გარემოებები, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ამ ძირითადი პრინციპებისგან გადახვევის გამართლება.⁵¹

აუცილებლობისა და პროპორციულობის შემდეგ განიხილება სიფრთხილის ზომები. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ყველა გამოყენებული ზომა უნდა იცავდეს და პატივს სცემდეს ადამიანის უფლებებს. ამდენად, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ყველა საჭირო ზომა უნდა იქნეს მიღებული სიტუაციის განსამუხტად და იმ ვითარების ასაცილებლად, როდესაც შეიძლება მოხდეს ძალის გამოყენება. ამასთან, თუ მაინც მოხდება ძალის გამოყენება, აუცილებელია, რომ გამოყენებული ძალა იყოს ვითარების შესაბამისი და მკაცრად პროპორციული.

ძალადობრივი შეკრების დაშლისას სამართალდამცველებმა შეიძლება გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ მაშინ, როცა ნაკლებად უსაფრთხო საშუალებები არ არის პრაქტიკული, და ამ შემთხვევაშიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა იყოს მინიმალური/მკაცრად პროპორციული.⁵² პოლიციის ოფიცრების მხრიდან გამოყენებული ძალა ხშირად დამოკიდებულია იმ აღჭურვილობაზე, რომელიც მათ გააჩნიათ. თუ საჭირო გარემოებებში მათ არ აქვთ ხელკეტები და ფარები, მაგრამ აქვთ ცეცხლსასროლი იარაღი, ისინი გამოიყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად ლეტალური იარაღიც კი იქნებოდა ეფექტური.⁵³

უნდა აღინიშნოს, რომ ძალის გამოყენებისას იარაღის გამოყენება პოტენციურად სასიკვდილო შედეგების მომტანია და იარაღის ნებისმიერი სახით გამოყენება

⁴⁹ See supra 1, p. 25.

⁵⁰ Ibid, p. 25.

⁵¹ Ibid, §8.

⁵² Ibid, §14.

⁵³ See supra 1, p. 26.

განსაკუთრებით დამაზიანებელი შეიძლება იყოს გარკვეული სახის მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის, ხანშიშესულებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ასევე იარაღის ნებისმიერი სახით გამოყენების ეპიზოდები, ნებართვის გამცემი პირები და გაცემული გაფრთხილებები ყოველთვის სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული, რათა აღნიშნული მოვლენების დასრულების შემდეგ ამ ქმედებების მოკვლევა იყოს შესაძლებელი.

დეესკალაციისთვის აღჭურვილი პოლიციელები, ე.წ რობოკოპები

როდესაც აუცილებელია ძალის გამოყენება და ყველა შესაბამისი პრინციპი არის გათვალისწინებული, სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით, გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ძალა, მათ შორის, სპეციალურად გაწვრთნილი პოლიციელები.

შეკრების მონიტორინგის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის შესაბამისი პოლიციელები უნდა იყვნენ ადეკვატურად დატრენინგებულები და აღჭურვილები.⁵⁴

არეულობის აღმკვეთი პოლიციელები და დანაყოფები⁵⁵

აღნიშნული პოლიციელები სრულიად არიან აღჭურვილები დამცავი საშუალებებით, მათ შორის, ჩაფხუტებით, ფარებით, სხეულის დამცავი ჯავშნით და ხელკეტებით, ისინი გაწვრთნილნი არიან სერიოზულ არეულობებთან გასამკლავებლად. ისინი შეკრების მონაწილეების თვალთახედვის არედან მოშორებით რაც შეიძლება დიდხანს უნდა რჩებოდნენ, მათი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ სიტუაცია უარესდება და კონტრდემონსტრანტების ან სხვა ჯგუფების მხრიდან ძალადობის დადასტურებული რისკი არსებობს. მათ რამდენიმე უპირატესობა აქვთ, მათ შორის:

- ✓ ისინი ნასროლი საგნებისა და თავდასხმებისგან კარგად არიან დაცულნი;
- ✓ მათ მასობრივი არეულობების კონტროლის მიმართულებით მაღალი დონის სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ, ისინი ამ მიმართულებით კარგად მომზადებულნი და აღჭურვილნი არიან და, წესით, მაღალი დონის დისციპლინით უნდა გამოირჩეოდნენ;
- ✓ მათ შეუძლიათ სწრაფად მოძრაობა და შეკრების კანონდამრღვევ მონაწილეებთან გამკლავება;

⁵⁴ See supra 1, p. 41.

⁵⁵ See supra 14, p. 89.

- ✓ მათ წესრიგის დამყარების ზოგად პროცესში ძალის ინდივიდუალურად გამოყენების უნარი აქვთ.

ამგვარი დანაყოფების გამოყენებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებია:

- ✓ ხშირად მათი უბრალოდ ადგილზე ყოფნა შეკრების მონაწილეებისთვის უარყოფითი გზავნილი შეიძლება იყოს;
- ✓ ისინი შესაძლოა ზედმეტად აგრესიული და არადისციპლინირებულები გახდნენ;
- ✓ დამცავი ჩაფხუტების გამოყენების გამო მათი კომუნიკაცია როგორც სხვა პოლიციელებთან, ისე საზოგადოებასთან, მნიშვნელოვნად იზღუდება;
- ✓ სიტუაცია ვერ გახდება ნორმალური, სანამ ამ დანაყოფების გამოყენების საჭიროება იარსებებს. თუმცა ისეთი ქმედებები, როგორებიცაა ჩაფხუტების მოხსნა და ფარების ქვევით დაწევა, შეიძლება იყოს არასიტყვიერი კომუნიკაციის ის ფორმა, რომლითაც შესაძლებელია დეესკალაციის ხელშეწყობა.

პოლიციელებს, რომლებიც არიან ჩართული შეკრებების მონიტორინგში, უნდა ჰქონდეთ ყველა საშუალება, რათა საფრთხის შესაბამისად შეეძლოთ რეაგირების მოხდენა. ეს გულისხმობს აღჭურვილობას ყველაზე ნაკლებად ლეტალური იარაღიდან ცეცხლსასროლ იარაღამდე. ასევე პოლიციელები უნდა ერკვეოდნენ არსებულ რეგულაციებში და მის შესაბამისად მოქმედებდნენ. არის შემთხვევები, როდესაც პოლიციელები პირდაპირ იყენებენ გარკვეულ ქიმიურ საშუალებებს, კერძოდ, ცრემლსადენ გაზს და ასეთი საშუალებების მავნე ზიანის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ. ასეთი არასწორი გამოყენების შედეგი ბევრჯერ ყოფილა გაუმართლებელი დაზიანებები და ფატალური შემთხვევები. ამდენად, აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული, რომ მსგავსი საშუალებები გამოყენებული იქნება სწორად და სწორი ფორმით.

პოლიციელების აღჭურვილობაში აუცილებლად უნდა იყოს ჩაფხუტები, გაზის ნიღბები და დამცავი ტანსაცმელი, მათ შორის, ცეცხლგამძლე კოსტიუმები, ბარიერები და ფარები, ისინი, პირველ რიგში, უნდა იქნეს გამოყენებული პოლიციელების დასაცავად. ქვემოთ ჩამოთვლილია ორი ტიპის აღჭურვილობა, რომლებიც ხშირად და უფრო იშვიათად გამოიყენება პოლიციის მხრიდან ხალხის ნაკადის შესაკავებლად და/ან სამართავად. ყველა ეს საშუალება, როგორც არაერთხელ აღინიშნა მოცემულ დოკუმენტში, უნდა იყოს გამოყენებული დიდი სიფრთხილით და პროპორციულად, მხოლოდ მაშინ, თუ ამისი აშკარა აუცილებლობა არსებობს. არცერთი ნივთი არ შეიძლება გამოიყენოს პოლიციელმა შესაბამისი ტრენინგის გარეშე.⁵⁶

ხშირად გამოყენებულ აღჭურვილობაში შედის:

- ფარები;
- ხელკეტები;

⁵⁶ See supra 1, p. 42.

- წყლის ქვემეხი/ჭავლი;
- ცრემლსადენი გაზი/წიწაკის აეროზოლი;
- სპეციფიკური აღჭურვილობა;
- ცეცხლსასროლი იარაღი.

ნაკლებად ხშირად, უფრო იშვიათად გამოყენებული საშუალებებია:

- გამაშეშებელი ყუმბარები;
- გრძელი დიაპაზონის აკუსტიკური მოწყობილობები;
- ლაზერული მოწყობილობები;
- ძაღლები.

პოლიციელებისთვის აუცილებელი უნარი არის მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობა და ორგანიზატორებთან კომუნიკაცია. შესაბამისად, შეკრებისას ძირითადი ფოკუსი უნდა ხდებოდეს მონაწილეებთან კომუნიკაციაზე, შექმნილი სირთულეების და აგრესიის დეესკალაციის მიზნით.

ფარები

ჩაფხუტებით, ფარებით და სხვა დამცავი საშუალებებით აღჭურვილი პოლიციელები ერთგვარ ბარიერს ქმნიან; მათი სახით ხდება ძალის დემონსტრირება, რამაც გარკვეულ პირებს ან ჯგუფებს შეიძლება გადააფიქრებინოს ძალადობრივი ქმედებების ჩადენა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამგვარი ბარიერის შექმნას საპირისპირო შედეგი შეიძლება მოჰყვეს – ადგილზე ფარებით აღჭურვილი პოლიციელების განლაგებამ შესაძლოა ძალადობრივი რეაქციებისა და არეულობის პროვოცირება მოახდინოს.⁵⁷

ფარების გამოყენება ძირითადად თავდაცვის მიზნით ხდება, მათი მეშვეობით პოლიციელები ნასროლი საგნებისგან იცავენ თავს. პოლიციის შეტევის დროს ფარები ხელკეტებთან ერთად შეიძლება იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, ფარების მეშვეობით პოლიციელებს შეუძლიათ მიაწვინენ მომიტინგეებს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შეტევის დროს პოლიციელებმა ფარების კიდები არ გამოიყენონ, რადგან, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ადამიანი სერიოზულად დაშავდეს, განსაკუთრებით, თუ მას ფარის კუთხე თავში ან კისერში მოხვდება⁵⁸ – ასეთმა ქმედებებმა შეიძლება ადამიანის სიცოცხლის მოსპობაც კი გამოიწვიოს.

ფარებით აღჭურვილი პოლიციელების გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები⁵⁹:

- ✓ ყველა პოლიციელი შესაბამისად უნდა იყოს აღჭურვილი;

⁵⁷ See supra 14, p. 98.

⁵⁸ Ibid, p. 98.

⁵⁹ Ibid, p. 99.

- ✓ ამ ტაქტიკისთვის საჭიროა შესაბამისად გაწვრთნილი და შესაბამის ფიზიკურ ფორმაში მყოფი პოლიციელების შერჩევა;
- ✓ ადგილზე მკაცრი სამეთაურო და კონტროლის სისტემა უნდა მოქმედებდეს, ადგილზე მყოფი ზედამხედველი ოფიცრები მზად უნდა იყვნენ იმ პოლიციელების შესაკავებლად, რომლებმაც ზედმეტი რეაგირება შეიძლება მოახდინონ;
- ✓ ამ ტაქტიკის გამოყენებისას პოლიციას ეზღუდება შეკრების მონაწილეებთან მოლაპარაკებების და კომუნიკაციის საშუალება;
- ✓ მას შემდეგ, რაც ფარებით აღჭურვილი პოლიციელების საჭიროება აღარ იარსებებს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი ადგილიდან გაყვანა;
- ✓ შეკრების მონაწილეების მხრიდან შეტევის განხორციელების შემთხვევაში, თავდამსხმელებმა ფარები შესაძლოა მანქანის საჭის მსგავსად დაატრიალონ, რასაც პოლიციელთა სერიოზული დაშავება შეიძლება მოჰყვეს.

ხელკეტები

პოლიციის მიერ ხელკეტების კოორდინირებულად და დისციპლინირებულად გამოყენების შედეგად შესაძლებელია შეკრების ძალადობრივი მონაწილეების გადაადგილება ან დაშლა ან პოლიციელების თავდასხმისგან დაცვა. ხელკეტით განხორციელებული ნებისმიერი დარტყმა პროპორციულობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ხელკეტები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ნაკლებად დამაზიანებელი ძალის ფორმები უშედეგოდ იქნა გამოყენებული ან როდესაც ამგვარი ფორმების გამოყენება არაპრაქტიკულია.

ხელკეტებთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *იზჩი თურქეთის წინააღმდეგ*⁶⁰, რომელშიც მოსარჩელე ჩიოდა პოლიციელების ქმედებაზე, როდესაც დემონსტრაციის დროს წაქცეულ მომჩივანს მიაყენეს ზიანი ხელკეტებით. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, რომ შეკრებილი ხალხი უკვე იწყებდა დაშლას, როდესაც ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციელები მათ თავს დაესხნენ და გაუსწორდნენ. მომჩივანს სახისა და თავის არეში მიაყენეს დარტყმები. მოსარჩელე ასევე აცხადებდა, რომ თურქეთის ხელისუფლება შემწყნარებლური იყო პოლიციის მსგავსი ქმედებების მიმართ და არავინ დასჯილა. ასევე მოსარჩელე აცხადებდა, რომ დაირღვა მისი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას და რომ პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა მომჩივანის წინააღმდეგ. სასამართლომ მიუთითა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ვერ განახორციელა თავისი ფუნქცია და არ დასაჯა დამნაშავე პირები. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პოლიციელებმა არ გამოიჩინეს ტოლერანტობა

⁶⁰ Izci v. Turkey, application 42606/05, 2013.

და არ დაელოდნენ მშვიდობიანი შეკრების დაშლას, შეკრების, რომელიც არ შეიცავდა ძალადობის ნიშნებს და არ წარმოადგენდა საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისათვის. ხოლო მათი მხრიდან ასეთმა არაპროპორციულმა ძალის გამოყენებამ გამოიწვია მომჩივანის დაზიანება. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის უგულებელყოფამ და დამნაშავე პოლიციელების დაუსჯელობამ სერიოზული ეჭვები გააჩინა ვალდებულებების შესაბამისობასთან კონვენციის მესამე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ეფექტური გამოძიების მიმართ. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი, ვინაიდან გამოყენებულ იქნა არაპროპორციული ძალა მოსარჩელეს მიმართ, რაც არ ემსახურებოდა ძირითად მიზანს, კერძოდ, არეულობის თავიდან არიდებას და საჯარო წესრიგის შენარჩუნებას.

ხელკეტების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებებია:

- ✓ ხელკეტები ძალის სადემონსტრაციოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული; გარდა ამისა, ხელკეტები ვიზუალური გაფრთხილების ფორმას წარმოადგენს, რომლის გამოც ადამიანებმა შეიძლება გადაიფიქრონ ძალადობრივი ქმედებების ჩადენა ან მათ ადგილის დატოვება გადაწყვიტონ;
- ✓ ხელკეტების პროვოკაციულად გამოყენება არ უნდა მოხდეს; ანუ ხალხის მასის „წაქეზების“ მიზნით არ უნდა მოხდეს ხელკეტების ფარეზზე რტყმა;
- ✓ ხელკეტების გამოყენება აგრესიულ და მუქარისშემცველ ქცევად იქნება აღქმული და ამას დამაბულობის ზრდა და ძალადობის ესკალაცია შეიძლება მოჰყვეს;
- ✓ ხელკეტების გამოყენების შესახებ გაფრთხილება უნდა გაიცეს, თუმცა, თუ გარემოებები ამის საშუალებას არ იძლევა ან საფრთხის გასანეიტრალებლად ხელკეტების სასწრაფოდ გამოყენება აუცილებელია, მაშინ ეს ვალდებულება უქმდება;
- ✓ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც სიცოცხლის ან სერიოზული დაშავების რისკი არსებობს, ხელკეტების თავზე ან მხრებზე და ასევე გენიტალიებზე, ზურგზე და სხეულის სხვა მოწყვლად ნაწილებზე დარტყმა თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რადგან ეს შესაძლოა სასიკვდილო ძალის გამოყენებად იქნეს ჩათვლილი ან ამგვარ ქმედებებს სერიოზული დაშავება შეიძლება მოჰყვეს;
- ✓ მას შემდეგ, რაც ხელკეტების გამოყენების კანონიერი საფუძველი აღარ იარსებებს, ძალის გამოყენება უნდა შეწყდეს;
- ✓ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მეთაურს, რომელიც ხელკეტების მომზადების ან გამოყენების ბრძანებას გასცემს და ასევე იმ პოლიციელს, რომელიც უშუალოდ იყენებს ხელკეტს;
- ✓ ხელკეტების ამგვარად გამოყენება უმაღლესი სტანდარტის მომზადებას, ძალიან ეფექტურ მეთაურობას, კონტროლს და პერსონალურ დისციპლინას მოითხოვს.

წყლის ჭავლი/წყლის ქვემეხი

პოლიცია სხვადასხვა ტიპის წყლის ჭავლს იყენებს და მათ ბევრი სხვადასხვა დანიშნულება გააჩნიათ. ზოგიერთ დანადგარს მტკიცებულებების შემგროვებელი კამერები აქვს დამონტაჟებული, ზოგ მათგანს ერთდროულად წყლის და ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შესაძლებლობა გააჩნია.

შეკრებების დროს, წესრიგის დაცვის ფარგლებში, მხოლოდ საპოლიციო დანიშნულების (და არა სახანძრო) წყლის ქვემეხები უნდა იქნეს გამოყენებული. წყლის ქვემეხების ნებისმიერი გამოყენება პროპორციულობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. წყლის ქვემეხის ძირითად დანიშნულებას შეკრების მონაწილეების წინააღმდეგ საკმაოდ დიდი ძალით მნიშვნელოვანი ოდენობის წყლის მიმართვა წარმოადგენს. მშვიდობიანი შეკრებების დასაშლელად წყლის ქვემეხების გამოყენება დაუშვებელია.

საქმეში *ეგიტიმ ვე ბილიმ ემეკსილერი სენდიკასი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*⁶¹ სასამართლომ განიხილა მაღალი წნევით წყლის ჭავლის და ცრემლსადენი გაზის გამოყენება დემონსტრაციის დაშლის მიზნით. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ პოლიციამ მათ მიმართ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი მაღალი წნევით, რომელთა მიმართვა დემონსტრანტებისაკენ ხდებოდა დაჯავშნული მანქანებიდან. მომჩივნები ასევე ჩიოდნენ, რომ არ ჩატარებულა არანაირი სისხლისსამართლებრივი გამოძიება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას, ვინაიდან ის ტანჯვა, რომელიც პოლიციის ქმედების შედეგად განიცადეს მოსარჩელებმა უტოლდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. როგორც სასამართლომ აღნიშნა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დემონსტრანტების ქცევა იქნებოდა ძალის გამოყენების საფუძველი, არ იყო დადგენილი, რომ მათი ქცევის აღკვეთა და არეულობის თავიდან არიდება საჭიროებდა ასეთი სასტიკი ძალის გამოყენებას, რომელმაც გამოიწვია მომიტინგეები ტანის, სახის და თავის დაზიანებები. შესაბამისად, თურქეთის ხელისუფლებამ ვერ დაარწმუნა სასამართლო, რომ უსაფრთხოების ძალების მიერ გამოყენებული ძალა იყო სწორი პასუხი დემონსტრანტების ქცევაზე.

წყლის ჭავლის, იგივე წყლის ქვემეხის, გამოყენებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი გარემოებებია⁶²:

- ✓ წყლის ქვემეხის ადგილზე გამოყენება იერარქიულად უფროსი საოპერაციო მეთაურის მიერ უნდა იქნეს ნებადართული;
- ✓ წყლის ქვემეხს დაცული წყაროდან წყლის ხელმისაწვდომი მარაგი სჭირდება, ამ დროს წყლის წნევა საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ქვემეხის დროულად შევსება მოხდეს;

⁶¹ Egitim ve Bilim Emekcileri Sendikasi and others v. Turkey, application 20347/07, 2016.

⁶² See supra 14, p.101.

- ✓ წყლის ჭავლი ძალის გამოყენების შედარებით უფრო მიზანმიმართულ ფორმას წარმოადგენს ვიდრე ცრემლსადენი გაზი, თუმცა სხვადასხვა სახის ამუნიციასთან შედარებით (მაგალითად, პლასტმასის ტყვიები, რეზინის ტყვიები, პლასტმასის ტყვიები შლადი თავაკებით, ქაფის ტყვიები, რეზინის ბურთულები ან საფანტის ჩანთები) ეს უფრო განურჩეველი სახის ძალისმიერი მეთოდია;
- ✓ შეკრების მონაწილეებმა წყლის ქვემეხის ადგილზე ყოფნა დაშინების მეთოდად ან პროვოკაციად შეიძლება ჩათვალოს;
- ✓ მის გამოყენებამდე შეკრების მონაწილეების გაფრთხილება უნდა მოხდეს;
- ✓ წყლის ქვემეხის გამოყენებას რისკების შექმნა შეუძლია (მაგალითად, სველი ზედაპირების წარმოქმნა); გარდა ამისა, მაღალი წნევით გაშვებულ წყალს ადამიანების წაქცევა და დაზიანება შეუძლია;
- ✓ წყლის ქვემეხები უფრო მიტინგების დროს გამოიყენება, ვიდრე მობილური ან მოძრავი აქციების დროს (მარშები, დემონსტრაციები და ა.შ.);
- ✓ ადამიანებს ტერიტორიის დასატოვებლად შესაბამისი გასასვლელები უნდა ჰქონდეთ, რათა ადგილის სწრაფად დატოვება შეძლონ;
- ✓ წყლის ქვემეხები არასოდეს არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა შენობებიდან გადმოვარდნის საშიშროება არსებობს;
- ✓ სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის, ვინც ამას საჭიროებს;
- ✓ წყლის ქვემეხებს მხოლოდ შესაბამისად გაწვრთნილი პერსონალი უნდა მართავდეს;
- ✓ წყლის ქვემეხები არასოდეს არ უნდა იქნეს გამოყენებული ყინვის დროს.

ქიმიური ნივთიერებები

ცრემლსადენი აირის გამოყენება ხალხის მასის კონტროლის, ალბათ, ყველაზე ცნობილ ტაქტიკას წარმოადგენს. ცრემლსადენ აირს ახასიათებს ალერგიული გამოვლინებები, ვინაიდან კრისტალები ჰაერში იფანტება და შესუნთქვის შემდეგ, ან როდესაც ისინი თვალების ან პირის გარშემო სველ კანთან შედის კონტაქტში, წვის შეგრძნებას, ასევე ცემინებასა და ხველას იწვევს. შემთხვევების უმრავლესობაში ეს სიმპტომები 10-20 წუთში ქრება. თუმცა გაზის მოქმედების არეალში დიდი ხნით ყოფნას ან მის კონცენტრირებულ ზემოქმედებას კანზე წყლულების წარმოქმნა შეუძლია.

ცრემლსადენი გაზი ჩვეულებრივ გვხვდება ყუმბარაში. შესაძლებელია აღნიშნული ყუმბარების ხელით ტყორცნაც. შეკრების მონაწილეებს, მათი მისამართით სროლის შემდეგ, ამ ყუმბარების მიწიდან აღებისა და უკან პოლიციელებისთვის სროლის შესაძლებლობა აქვთ. ცრემლსადენი გაზის გავრცელების კიდევ ერთი მეთოდია მცირე ზომის ბურთულების გასროლა, რომლებიც მიწაზე დაცემისთანავე ორთქლდება. **არცერთ შემთხვევაში აღნიშნული საგნები აქციის მონაწილეებზე დამიზნებით არ უნდა იყოს ნასროლი.**

ცრემლსადენი გაზის გამოყენების საოპერაციო მიზანს მხოლოდ შეკრების დაშლა უნდა წარმოადგენდეს; ცრემლსადენი გაზი არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ ადგილებში, საიდანაც ადამიანებს გაქცევის საშუალება არ აქვთ (მაგალითად, დახურული სივრცეები). ცრემლსადენი გაზის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ შეკრების მონაწილეების გაფრთხილება მოხდა და მათ მოთხოვნა არ გაითვალისწინეს. გარდა ამისა, თავდაპირველად აქციის დაშლის შედეგებით ნაკლებად დამაზიანებელი მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული. როგორც შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების, ისე სხვა (აქციაში არ ჩართული) მოქალაქეების წინაშე არსებული რისკები გულდასმით უნდა იქნეს შეფასებული. რათა ამ რისკებმა არ გადაწონოს ზიანი, რომლის ასარიდებლადაც იქნა შეკრების დაშლის გადაწყვეტილება მიღებული.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *აბდულა იასა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*⁶³, რომელშიც ხაზგასმით მიუთითა ცრემლსადენი გაზის გამოყენების თავისებურებებზე.

საქმე შეეხებოდა 13 წლის მოსარჩელის დაზიანებას ცრემლსადენი გაზის ყუმბარით, რაც მოჰყვა უკანონო დემონსტრაციების დროს შეიარაღებულ შეტაკებას. დემონსტრაციები იყო ძალადობრივი, რომელთა დროსაც გარდაიცვალა 11 დემონსტრანტი, ხოლო მომჩივანმა მიიღო მნიშვნელოვანი დაზიანება თავის არეში. ის ჩიოდა, რომ პოლიციამ გამოიყენა გაუმართლებელი ძალა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არსებითად დაირღვა კონვენციის მესამე მუხლი, ვინაიდან არ იყო ნათელი, რამდენად იყო გამოყენებული ძალა შექმნილი ვითარების სწორი პასუხი, ან იყო თუ არა ის პროპორციული დასახული მიზნის მისაღწევად, კერძოდ, არამშვიდობიანი შეკრების დასაშლელად. მომჩივანის დაზიანების სერიოზულობა არ შეესაბამებოდა ძალას, რომელიც უნდა გამოეყენებინა პოლიციას. როგორც სასამართლომ აღნიშნა, ვიდეოჩანაწერებიდან ჩანდა, რომ დემონსტრაცია არ იყო მშვიდობიანი. შესაბამისად, მისი დაშლის მიზნით ცრემლსადენი გაზის გამოყენება გასაგები იყო. თუმცა საკითხი უკავშირდებოდა ცრემლსადენი გაზის ხელყუმბარის პირდაპირ დემონსტრანტების მიმართულებით სროლას. ასეთი ხელყუმბარების დამიზნებით სროლა იწვევს მნიშვნელოვან დაზიანებებს და სიკვდილსაც კი, იმ შემთხვევაში, თუ ის არასწორად არის ნასროლი. შესაბამისად, მომეტებული საფრთხის შემცველი აღჭურვილობის მიმართ სასამართლომ გამოიყენა პრეცედენტული სამართალი, პოტენციურად ლეტალური აღჭურვილობის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მაშინ, როცა ადგილობრივი კანონმდებლობით ნებადართულია საპოლიციო ქმედებების განხორციელება, მათ შორის, ცრემლსადენი გაზის ყუმბარების ტყორცნა, ეს ქმედებები უნდა იყოს არსებითად დარეგულირებული, რათა არ მოხდეს მათი ბოროტად გამოყენება და თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური გადაწყვეტილებები და მძიმე შედეგები.

⁶³ Abdullah Yasa and others v, Turkey, application 44827/08, 2013.

სასამართლომ 46-ე მუხლზე (სავალდებულობა და გადაწყვეტილებების აღსრულება) დაყრდნობით მიუთითა, რომ თურქეთის სახელმწიფოს არ ჰქონდა საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული ცრემლსადენი გაზის გამოყენება და სამართალდამცავებს არ ჰქონდათ რეგულაციები მის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ უნდა გაიწეროს შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენების რეგულაციები, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მისი გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის რისკები.

ასევე ცრემლსადენი გაზის გამოყენებას ეხება საქმე *სულეიმან სელეზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*⁶⁴. მოცემულ საქმეში განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ პოლიციამ არაპროპორციული ძალის გამოყენებით დაშალა მათი მშვიდობიანი შეკრება. დაშლის შემდეგ მომჩივნები იმყოფებოდნენ საავადმყოფოში ცრემლსადენი გაზის გამოყენების შედეგად მიღებული დაზიანებების გამო. მომჩივნები ასევე აცხადებდნენ, რომ ამ შემთხვევის შემდეგ უსაფრთხოების ძალების არცერთი წარმომადგენელი არ დასჯილა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მესამე მუხლის როგორც არსებითი, ისე პროცედურული ნაწილის დარღვევას. სასამართლოს თანახმად, იმ მომჩივნების დაზიანებები, რომლებიც არ იყვნენ ძალადობრივი აქციის მონაწილეები, გამოწვეული იყო პოლიციის აგრესიული ქმედების შედეგად, რომელიც პოლიციამ განახორციელა დემონსტრაციის დაშლის მიზნით. ვინაიდან პოლიციის მხრიდან მსგავსი ქმედება არ შეიძლება გამართლდეს მხოლოდ დემონსტრაციის დაშლის მიზნით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ის წარმომადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. სასამართლომ ასევე განიხილა, რომ მოცემულ ქმედებაში ჩართული პოლიციელები არ იყვნენ გასამართლებულები. არც ის პირები დაექვემდებარნენ სამართალწარმოებას, რომლებმაც გასცეს ასეთი ქმედების ბრძანება.

*სპეციფიკური აღჭურვილობა*⁶⁵

მსოფლიოში მრავალი სხვადასხვა ნაკლებად ლეტალური სპეციფიკური აღჭურვილობის გამოყენება ხდება. ამ საშუალებებში შედის ხის ბურთულები, რეზინის ტყვიები, პლასტმასის ტყვიები შლადი თავაკებით, ქაფის ტყვიები, რეზინის ბურთულაკები და საფანტის ჩანთები. ამ საშუალებების სიჩქარე და კალიბრი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

შეკრებების დროს აღნიშნული საშუალებების საპოლიციო ოპერაციებში გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული. დემონსტრანტებისათვის პოტენციური ზიანის მიყენების კუთხით ამ საშუალებების გამოყენება ნებადართული მეთოდების იერარქიაში ერთ-ერთ უმაღლეს ადგილს იკავებს (ცეცხლსასროლი იარაღის შემდეგ მეორე

⁶⁴ Suleyman Celebi and others v. Turkey, application 37273/2016.

⁶⁵ Ibid, p. 104.

ადგილი)⁶⁶. ამის გათვალისწინებით, პოლიციას უნდა ესმოდეს, რომ ეს აღჭურვილობა, მართალია, ნაკლებად ლეტალურია, მაგრამ თუ მისი არასწორად გამოყენება მოხდა, ამას მაინც შეიძლება მოჰყვეს სიკვდილი ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება. ამიტომ, აუცილებელია რისკების შემცირებაზე მიმართული ზომების დაცვა.

ამ საშუალებების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:

- ✓ აღნიშნული საშუალებების მხოლოდ შემოწმებული და დამტკიცებული სახეობები უნდა იქნეს გამოყენებული;
- ✓ გამოყენების დისტანციასთან და სამიზნეებთან დაკავშირებით მკაფიო ინსტრუქციები უნდა არსებობდეს;
- ✓ პოლიციელებს უნდა ახსოვდეთ ამ სახის აღჭურვილობასთან დაკავშირებული რისკები და ასრულებდნენ შესაბამის ინსტრუქციებს;
- ✓ ამ აღჭურვილობის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ დემონსტრანტების მიერ მოწყობილი არეულობა, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, ადამიანის სერიოზულად დაშავების ან სიკვდილის უშუალო რისკს ქმნის;
- ✓ აღნიშნული აღჭურვილობა მხოლოდ შესაბამისად გაწვრთნილმა პერსონალმა უნდა გამოიყენოს;
- ✓ გასროლა მხოლოდ იმ ადამიანების მიმართულებით უნდა მოხდეს, რომლებიც სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ;
- ✓ ამგვარი აღჭურვილობის ხალხის მასის მიმართულებით განურჩევლად გასროლა არ უნდა მოხდეს;
- ✓ ამგვარი აღჭურვილობის გასროლა მხოლოდ ტორსის ქვედა ნაწილისკენ ან ფეხებისკენ უნდა იყოს მიმართული (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის გადარჩენა აუცილებელია);
- ✓ აღჭურვილობა გამიზნულად არ უნდა იქნეს ნასროლი მიწაზე, რადგან ამ შემთხვევაში ასხლეტვის საშიშროება არსებობს;
- ✓ ადეკვატური გასასვლელი და საევაკუაციო გზები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რათა ადამიანებს ტერიტორიის უსაფრთხო დატოვების საშუალება ჰქონდეთ;
- ✓ სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის, ვინც ამას საჭიროებს;
- ✓ ამგვარი აღჭურვილობა მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული, რაც სხვა მეთოდებმა არ გაამართლეს ან თუ მათი გამოყენება, სავარაუდოდ, უშედეგო იქნებოდა;
- ✓ სადაც ეს შესაძლებელია, ამ საშუალებების გამოყენებამდე შესაბამისი გაფრთხილება უნდა გაიცეს.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ*⁶⁷, რომელიც შეეხებოდა პოლიციის მხრიდან შეკრების მონაწილის რეზინის

⁶⁶ Ibid, p. 104.

⁶⁷ Kilici v. Turkey, application 32738/11, 2018.

ტყვიებით დაჭრას. მოსარჩელე ჩიოდა, რომ პოლიციამ იგი დაჭრა დემონსტრაციის დაშლის დროს. ის ჩიოდა, რომ პოლიციის მხრიდან გამოყენებული ძალა იყო არაპროპორციული, გაუმართლებელი და რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ ჩატარებულა ეფექტური გამოძიება.

სასამართლომ მოცემულ საქმეში დაადგინა კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევა. სასამართლომ განაცხადა, რომ: 1. არ იყო დადგენილი მოსარჩელეს მიმართ გამოყენებული ძალის სისწორე შექმნილ სიტუაციაში, ან მისი პროპორციულობა დასახულ მიზანთან, რაც გამოიხატებოდა დემონსტრაციის კონტროლსა და მის დაშლაში; 2. ჩატარებული გამოძიება არ იყო დეტალური და ეფექტური. რაც შეეხება კონკრეტულად რეზინის ტყვიებს, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მწირი საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც პოლიციელებისთვის ადგენდა ძალის გამოყენების წესებს, არ იყო საკმარისი რეზინის ტყვიების გამოყენების რეგულირების კუთხით პოლიციისთვის სპეციალური წესების განსასაზღვრად. შესაბამისად, პოლიციას არ ჰქონდა ამ იარაღის კანონიერად, სწორად და პროპორციულად გამოყენებისათვის აუცილებელი წესები. სასამართლოს აზრით, ასეთი სიტუაცია არ უზრუნველყოფდა ფიზიკურ უსაფრთხოებას, რაც მოეთხოვება თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებს ევროპაში.

ცეცხლსასროლი იარაღი

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საფუძვლებსა და მოქმედ რეგულაციებზე ვისაუბრეთ მოცემული დოკუმენტის „ძალის გამოყენების“ ნაწილში. ახლა უშუალოდ ადგილზე მყოფი სპეციალიზებული დანაყოფების მხრიდან იარაღის გამოყენების პრაქტიკულ დეტალებზე გავაკეთებთ აქცენტს.

თუ ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი სპეციალიზებული საპოლიციო დანაყოფების (და არა ჩვეულებრივად აღჭურვილი პოლიციელების) განლაგების საჭიროება არსებობს, რაც საჯარო ღონისძიების კონკრეტულ ასპექტებთან მიმართებით წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფადაა აუცილებელი (მანამდე მიღებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე), მაშინ ეს პოლიციელები კარგად უნდა იყვნენ გაწვრთნილნი, აღჭურვილნი და მათ მთელი ღონისძიების მანძილზე მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფუნქცია უნდა ჰქონდეთ (ამ იარაღის გამოყენების აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში).

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაარეგულირა გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციის კონგრესმა 1990 წლის აქტში.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებებია:

- ✓ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პოლიციელები მხოლოდ შესაბამის ბუდეში მოთავსებული და დამაგრებული პისტოლეტებით უნდა იყვნენ შეიარაღებული;

- ✓ ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც რომელიმე ადამიანის ან თვითონ პოლიციელის სიცოცხლე უშუალო საფრთხის წინაშე დგას;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პოლიციელებს მხარს უნდა უმაგრებდნენ ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული პოლიციელები, რომლებსაც უფრო ზუსტი (დასამიზნებელი მოწყობილობებით აღჭურვილი) ცეცხლსასროლი იარაღი უნდა ჰქონდეთ (სადაც ეს შესაძლებელია);
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი დანაყოფები მხოლოდ საოპერაციო სარდლობის ბრძანებით, კონკრეტული საფრთხეების საფუძველზე უნდა იქნეს გამოყენებული;
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე პასუხისმგებლობა სარდლობას და ამ იარაღის გამომყენებელ პოლიციელებს ეკისრება;
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული, რაც სხვა მეთოდებმა შედეგი ვერ გამოიღო ან მათი გამოყენების შემთხვევაში სასურველი შედეგის მიღწევა ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა;
- ✓ დასაშვებია მხოლოდ მიზანმიმართული, ცალ-ცალკე და თანმიმდევრულად განხორციელებული გასროლები მანამ, სანამ საფრთხე არ განეიტრალებს; ავტომატური იარაღის გამოყენება არასოდეს არ არის მისაღები;
- ✓ ხალხის მასის მიმართულებით განურჩეველი ცეცხლის გახსნა არასოდეს არის ლეგიტიმური ან დასაშვები;
- ✓ სროლა მხოლოდ იმ პირების მიმართ უნდა იყოს მიმართული, რომლებიც რომელიმე ადამიანის, მათ შორის, პოლიციელის, სიცოცხლეს უშუალო და რეალურ საფრთხეს უქმნიან;
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ პოლიციელებს უნდა ახსოვდეთ, რომ შემთხვევითი ტყვიით უდანაშაულო ახლოსმდგომი ადამიანების დაშავების ან მოკვლის შესაძლებლობა არსებობს;
- ✓ სასურველი მიზნის მიღწევის შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა შეწყდეს; ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა შემთხვევების მსგავსად, კონკრეტულმა პოლიციელმა უნდა შეწყვიტოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მას შემდეგ რაც მიზანი იქნება მიღწეული ან იარაღის გამოყენების საჭიროება აღარ იარსებებს;
- ✓ პანიკის შემთხვევაში გასასვლელი ადგილები უნდა იყოს დატოვებული;
- ✓ სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის ვინც მას საჭიროებს;
- ✓ პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა უნდა განიხილოს და მის შესახებ ანგარიში უნდა მოამზადოს.

საქმეში *მოკანუ და სხვები რუმინეთის*⁶⁸ წინააღმდეგ ძირითადად ადგილი ჰქონდა გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც მოჰყვა 1990 წელს მთავრობის

⁶⁸ Mocanu and others v. Romania, application 10865/09, 2014 {GC}.

საწინააღმდეგო გამოსვლების ჩახშობას, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა ერთ-ერთი მოსარჩელის სიცოცხლის მოსპობა. აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ეფექტურად არ გამოიძია მომხდარი და არ დასაჯა შეიარაღებული რეპრესიის განმახორციელებელი პირები.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის, სიცოცხლის უფლების, დარღვევას მის პროცედურულ ნაწილში, ვინაიდან რუმინეთის ხელისუფლებამ, რომელიც ვალდებული იყო ეფექტურად გამოეძიებინა შემთხვევა და მოეხდინა დამნაშავე პირების იდენტიფიცირება და დასჯა, არ შეასრულა მასზე კონვენციით დაკისრებული ვალდებულება.

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კონვენციის მეორე და მესამე მუხლების მიმართ

შეკრებების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენება გარკვეულ გარემოებებში ხვდება ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მოქმედების ფარგლებში, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ეს ეხება სიცოცხლის უფლებას, წამების და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას, და როგორც არაერთხელ აღინიშნა, გამოხატვის და შეკრების თავისუფლებას. ზემოთ უკვე განვიხილეთ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ის წესები, რომლებიც მან სხვადასხვა საქმეში დაადგინა. ქვემოთ დამატებით განხილულია სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებიც მოიცავს კონვენციის მეორე და მესამე მუხლებს დაცვის ვალდებულებას შეკრების თავისუფლებით სარგებლობისას.

სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლების ხელყოფის კონტექსტში სასამართლომ განიხილა გარკვეული რაოდენობის საქმეები. მოცემული დოკუმენტის მიზნებისთვის განვიხილავთ რამდენიმეს.

სანდრუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ⁶⁹

საქმე ეხება 1989 წლის აჯანყებას ტიმისოარაში. ეს იყო აჯანყება რუმინეთის კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პირველი აჯანყებათა სერიიდან. პირველმა ორმა აპლიკანტმა და მესამე მოსარჩელის მეუღლემ, რომლებიც მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღეს ტყვიებით. მეოთხე მოსარჩელის ძმა ტყვიით იქნა მოკლული. ყველა მოსარჩელე ჩიოდა აჯანყების ჩასახშობად გამოყენებული ძალადობრივი მეთოდების არაეფექტური გამოძიების თაობაზე, რამაც დატოვა ძალიან ბევრი მსხვერპლი და მთელი რიგი სისხლის სამართლის საქმეები. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ

⁶⁹ Sandru and others v. Romania, application 22465/03, 2009.

გამოძიება არ წარიმართა სწორად, რადგან დამნაშავეს მნიშვნელოვანი პოზიცია ეჭირა ახალ, 1989 წლის შემდგომი პერიოდის, რუმინეთში.

სასამართლოს დადგენილებით, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მეორე მუხლის დარღვევას მის პროცედურულ ასპექტში (გამოძიებაში), იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ მოქმედებდა საჭირო მონდომებით. ამ საქმეში სასამართლომ კვლავაც გაიმეორა, რომ მეორე მუხლით გარანტირებული სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება გულისხმობდა ეფექტური ოფიციალური გამოძიების გარკვეული ფორმის არსებობას, მაშინ, როცა ლეტალური ძალის გამოყენებამ გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ რთული პოლიტიკური და სოციალური კონტექსტით არ შეიძლება საქმის წარმოების ხანგრძლივობის გამართლება, როგორც ამას ამტკიცებდა რუმინეთის მთავრობა. პირიქით, რუმინეთის საზოგადოებისთვის აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საქმის სწრაფი გამოძიება არასაჭირო დაყოვნების გარეშე, რათა მოხდეს უკანონო აქტების შეწყნარების პრევენცია.

გიულიანი და გაგო იტალიის წინააღმდეგ⁷⁰

საქმე ეხებოდა უსაფრთხოების სამსახურის წევრის მხრიდან მოსარჩელის შვილის და ძმის ფატალურ ჩაცხრილვას გენუაში, 2001 წელს მიმდინარე G8-ის შეხვედრისას გამართულ შეტაკებაში. მოსარჩელე ჩიოდა, რომ მისი ახლო ნათესავების სიკვდილი გამოიწვია გადამეტებული ძალის გამოყენებამ და რომ ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებობდა ხარვეზები, საჯარო წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისაკენ მიმართული ოპერაციების კუთხით. მოსარჩელე ასევე ჩიოდა, რომ მისი ნათესავების სიკვდილი არ იყო ეფექტიანად გამოძიებული.

სასამართლოს დადგენილებით, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მეორე მუხლის დარღვევას ლეტალური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, რადგან კარაბინიერის მიერ იარაღის გამოყენება ეყრდნობოდა აბსოლუტურ საჭიროებას კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე. კერძოდ, ოფიცერი, რომელმაც გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი, იყო მიმაგრებული მანქანაზე, რომლის მიმართაც განხორციელდა უკანონო და ძლიერი ძალადობრივი შეტევა დემონსტრანტების მხრიდან. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ოფიცერი მოქმედებდა გულწრფელი შეხედულებით – შეტევის შედეგად მის და მისი კოლეგების სიცოცხლეს და ფიზიკურ ჯანმრთელობას ექმნებოდა საფრთხე. სასამართლომ დაადგინა, რომ კარაბინიერმა გაისროლა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან დემონსტრანტებს დაანახა იარაღი, გააფრთხილა მისი შესაძლო გამოყენების თაობაზე, მაგრამ შეტევა მაინც არ შეწყდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეტალური იარაღის გასროლის, როგორც თავდაცვის ზომის, გამოყენება გამართლებულია. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა მეორე მუხლი არც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების მიმართ. უფრო მეტიც, კონვენციის მეორე მუხლი არ დარღვეულა არც საპოლიციო

⁷⁰ Giuliani and Gaggio v. Italy, application 23458/02, 2011 [GC].

ოპერაციების დაგეგმვისა და ორგანიზების მიმართ G8-ს სამიტის განმავლობაში, ვინაიდან იტალიის ხელისუფლებამ შეასრულა მისი ვალდებულება უსაფრთხოების მაღალი დონის გარანტიებთან დაკავშირებით, რაც ასევე მოიცავდა ლეტალური ძალის გამოყენებას. და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მეორე მუხლის დარღვევას არც სიცოცხლის მოსპობის ფაქტის მითითებული არაეფექტური გამოძიების კუთხით.

ატაიკაია თურქეთის წინააღმდეგ⁷¹

საქმე ეხებოდა მომჩივანის შვილის გარდაცვალებას, რაც გამოიწვია უკანონო დემონსტრაციის მსვლელობისას პოლიციის მიერ ცრემლსადენი გაზის ხელყუმბარის სროლამ. კერძოდ, მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი შვილის გარდაცვალება იყო გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგი და რომ ხელისუფლებას არ უწარმოებია ეფექტიანი გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით. ის ასევე აცხადებდა, რომ არ გააჩნდა ეფექტიანი საშუალება, რათა მოეხდინა ფატალურ სროლაში დამნაშავე პირის წინააღმდეგ საქმის წარმოება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მეორე მუხლის დარღვევას მის არსებით ნაწილში (სიცოცხლის უფლება) და პროცედურულ ნაწილში (გამოძიება). კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ლეტალური იარაღის გამოყენება მომჩივანის შვილის მიმართ იყო აუცილებელი და პროპორციული, ან რომ პოლიციამ გამოიყენა ყველა ზომა, რათა შეემცირებინა სიცოცხლის ხელყოფის რისკი. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილობრივ დონეზე არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება იმ პირის იდენტიფიკაციისთვის, რომელმაც განახორციელა სასიკვდილო გასროლა. სასამართლომ მიუთითა კონვენციის 46-ე მუხლზე (სავალდებულო ძალა და გადაწყვეტილებების აღსრულება) და შესაბამისი დაცვითი რეგულაციების დაუყოვნებლივ შემუშავებაზე გაამახვილა ყურადღება. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სანამ თურქეთის სისტემა არ მოვიდოდა შესაბამისობაში ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან, დემონსტრაციების დროს პოტენციურად ფატალური იარაღების გამოყენება მუდმივად გამოიწვევდა ამ საქმეში დადგენილი დარღვევების მსგავს პრეცედენტებს.

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა

ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ⁷²

2000 წლის აპრილში, მომჩივანმა, ადვოკატმა და ადამიანის უფლებების ასოციაციის საზედამხედველო საბჭოს წევრმა, სტამბულში დააორგანიზა საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრაციამ მიიღო მარშის ფორმა, რასაც მოჰყვა განცხადება

⁷¹ Ataykaya v. Turkey, application 50275/08, 2014.

⁷² Oya Ataman v. Turkey, application 74552/01, 2006.

პრესისთვის. ხსენებულ საქმეში პოლიციამ მიმართა 50-60 ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფს, რათა სასწრაფოდ დაშლილიყვნენ, რადგან დემონსტრაცია იყო უკანონო იმ მიზეზით, რომ დემონსტრაციის შესახებ თვითმმართველობის ორგანოებს არ ჰქონიათ მიღებული რაიმე სახის შეტყობინება. დემონსტრანტებმა უარი განაცხადეს დაშლაზე, რასაც მოჰყვა პოლიციის მიერ ცრელმსადენი გაზის გამოყენება. მოსარჩელე ჩიოდა, რომ პოლიციამ დემონსტრანტების დასაშლელად გამოიყენა ცრელმსადენი გაზის ერთ-ერთი ფორმა, „წიწაკის აეროზოლი“, რაც წარმოადგენდა არაპროპორციულ ძალას მათ დასაშლელად.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას, ვინაიდან არ არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მომჩივანის განცხადებას არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ „წიწაკის აეროზოლი“ გამოიყენებოდა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში დემონსტრანტების გასაკონტროლებლად ან მათ დასაშლელად, თუ ვითარება დაიძაბებოდა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეს „აეროზოლი“ არ შედიოდა ტოქსიკური ნივთიერებების ჩამონათვალში. სასამართლომ მიუთითა, რომ გაზის გამოყენებას შეიძლება მოჰყოლოდა სხვადასხვა გართულება, მათ შორის, სასუნთქი ტრაქტის გაღიზიანება, თვალების და საცრემლე გზების გაღიზიანება, სპაზმი და ალერგიები. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივანმა არ წარმოადგინა სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა გაზის უარყოფით შედეგებს მასზე. მას ასევე არ მოუთხოვია სამედიცინო შემოწმება.

გაზიოღლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ⁷³

მოცემულ საქმეში ოთხი მოსარჩელე, რომლებიც დააკავეს 2003 წელს, ერაყში შეჭრის მიზნით სამხედროების გაგზავნის თაობაზე თურქეთის გადაწყვეტილების საპროტესტო დემონსტრაციის დროს, ჩიოდა პოლიციის ოფიცრების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას ორი მოსარჩელის მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ მათ მიერ სახესა და თავის არეში მიღებული დაზიანებები უტოლდებოდა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს და ხვდებოდა კონვენციის მესამე მუხლის მოქმედების ფარგლებში. უფრო მეტიც, სასამართლომ გაითვალისწინა თურქეთის ხელისუფლების მიმღებლობა, რომ მომჩივებმა დაზიანებები მიიღეს პოლიციის ოფიცრების მიერ, თურქეთის მთავრობას ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, რომ გამოყენებული ძალა იყო მკაცრად საჭირო მომჩივანის ქმედებიდან გამომდინარე და არ იყო გადაჭარბებული. თუმცა საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ პროკურორს არ უცდია, დაედგინა ძალის გამოყენების გარემოებები და მომჩივანის დაზიანებების გამომწვევი მიზეზები. რადგან თურქეთის მთავრობას არ წარმოუდგენია ძალის გამოყენების გამამართლებელი მნიშვნელოვანი საფუძველი,

⁷³ Gazioglu and others v. Turkey, application 29835/05, 2011.

გარდა იმისა, რომ რამდენიმე დემონსტრანტის ქცევა დაახასიათა როგორც „მწვავე ქცევა“, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ გამოყენებული ძალა, რომელმაც გამოიწვია მოსარჩელის დაზიანება, იყო არაპროპორციული.

ალი გიუნესი თურქეთის წინააღმდეგ⁷⁴

2004 წლის აპრილში, მომჩივანი, რომელიც იყო სკოლის მასწავლებელი და განათლებისა და მეცნიერ მუშაკთა გაერთიანების და საჯარო მოხელეთა გაერთიანების კონფედერაციის წევრი, მონაწილეობას იღებდა სტამბოლში ნატოს საწინააღმდეგოდ გამართულ დემონსტრაციაში. მან იჩივლა, რომ დემონსტრაციაზე დაკავების შემდეგ პოლიციამ ის ცემა და შეასხურა საზიანო გაზი, მიუხედავად იმისა, რომ ის და მასთან ერთად მყოფი ადამიანები არ იყვნენ შეიარაღებული და იქცეოდნენ მშვიდობიანად. ის ასევე მიუთითებდა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ადეკვატურად არ შეაფასა მისი საჩივარი პოლიციის მიმართ.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას მის არსებით ნაწილში, ვინაიდან მომჩივანი დაექვემდებარა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა გამამართლებელი საფუძველი, რატომ გამოიყენა პოლიციამ მომჩივანის მიმართ გაზი მას შემდეგ, რაც მოხდა მისი დაკავება და დემონსტრაციიდან ჩამოშორება, რომ გაზის უნებართვოდ გამოყენებას და მოსარჩელისთვის სახეში შეფრქვევას შეიძლებოდა გამოეწვია ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა.

მოცემულ საქმეში სასამართლო დაეთანხმა წამების პრევენციის ევროპულ კომიტეტს და ეროვნულ კანონმდებლობაში მოითხოვა ნათელი დირექტივების განსაზღვრა გაზის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე სასამართლომ დაადგინა, რომ არ შეიძლებოდა არსებულიყო ცრემლსადენი გაზის გამოყენების გამამართლებელი საფუძველი იმ პირის მიმართ, რომელიც იმყოფებოდა სამართალდამცველების კონტროლის ქვეშ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მომჩივანის შემთხვევაში. ამავე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას მის პროცედურულ ნაწილშიც, ვინაიდან ხელისუფლებამ არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება მოსარჩელის საჩივართან დაკავშირებით.

⁷⁴ Ali Gunes v. Turkey, application 9829/07, 2012.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები

„იდენტობა“ საქართველოს წინააღმდეგ⁷⁵

წინამდებარე საქმე ეხებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობისა“ და საქართველოს 14 მოქალაქის მიერ სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილ განაცხადს, რომელშიც მომჩივნები კონვენციის სხვა მუხლების დარღვევასთან ერთად ასაჩივრებდნენ შეკრება-მანიფესტაციის უფლების დარღვევასაც (ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი). მომჩივნები იყვნენ საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების უფლებების დასაცავად დაფუძნებული ორგანიზაცია „იდენტობის“ წევრები, რომლებმაც 2012 წლის 17 მაისს დაგეგმეს ჰომოფობიის, ბიფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი მსვლელობა დედაქალაქის ცენტრში.

მომჩივნებმა წინასწარ აცნობეს ქ. თბილისის მერიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარების განზრახვის შესახებ, მიაწოდეს ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებს მსვლელობაში მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობისა და დაგეგმილი მსვლელობის მარშრუტის შესახებ, რომელიც თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიიდან იწყებოდა და გრ. ორბელიანის მოედნამდე გრძელდებოდა. ამასთან, ლგბტ თემის მოწინააღმდეგეთა მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციებისა და სექსუალური უმცირესობების მიმართ ზოგადი არაკეთილგანწყობილი ფონის გათვალისწინებით, მომჩივანმა ორგანიზაციამ სთხოვა სამთავრობო უწყებებს, შესაძლო ძალადობისგან სათანადო დაცვა უზრუნველყოს.

2012 წლის 17 მაისს, ლგბტ თემის წევრები, ორგანიზაცია იდენტობის თანამშრომლები და სხვა ლგბტ აქტივისტები, რომელთა შორის ზემოხსენებული თოთხმეტი მომჩივანიც იყო, მთლიანობაში დაახლოებით ოცდაათი ადამიანი („ლგბტ მსვლელობის მონაწილენი“), შეიკრიბნენ თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ ეჭირათ ბანერები შემდეგი სლოგანებით: „მე ვარ გეი“, „მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარი“, „სიყვარული სიყვარულია“ და „გახდი ფერადი“, ასევე დროშები და ქოლგები ცისარტყელას ფერებში. საპატრულო პოლიცია, შეთანხმებისამებრ, იმყოფებოდა თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მანიფესტაციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ორი რელიგიური ჯგუფის, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ და „წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სამოს“, წევრები მოვიდნენ თბილისის საკონცერტო

⁷⁵ Identoba v. Georgia, application 73235/12, 2015.

დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე იყვნენ ჟურნალისტები, რომლებიც ლგბტ მსვლელობის მონაწილეებთან ინტერვიუს იღებდნენ.

მსვლელობის დაწყების პუნქტიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით ზემოხსენებული ორი რელიგიური ჯგუფის წევრებმა შეაჩერეს მსვლელობის მონაწილენი და დაიწყეს მათთან კამათი. კონტრდემონსტრანტები ამტკიცებდნენ, რომ არავის ჰქონდა უფლება ჩაეტარებინა გეი ალლუმი და ხელი შეეწყო „გარყვნილებისათვის“, ვინაიდან ეს ქართულ ტრადიციებს და მორალურ ფასეულობებს ეწინააღმდეგებოდა. პასუხად მსვლელობის მონაწილეები შეეცადნენ, მშვიდად აეხსნათ, რომ ეს მსვლელობა არა გეი ალლუმი, არამედ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი საზოგადოებრივი ღონისძიება იყო და მათ განაგრძეს მსვლელობა.

რუსთაველის გამზირზე მისულ მსვლელობის მონაწილეებს დახვდათ 100 ან მეტი კონტრდემონსტრანტი, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ. კონტრდემონსტრანტებმა გადაუღობეს გზა მსვლელობის მონაწილეებს, გააკეთეს ცოცხალი ჯაჭვი, ალყა შემოარტყეს მათ და აღარ მისცეს მსვლელობის გაგრძელების საშუალება. მსვლელობის მონაწილეებს დაემუქრნენ ფიზიკური შეურაცხყოფით, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, უწოდეს „ავადმყოფი“, „ამორალური“ ადამიანები და „გარყვნილები“. მსვლელობის მონაწილეებს არაერთგზის უწოდეს დამამცირებელი წოდებები: „პიდარასტები“ და „ცოდვილები“. ამ მომენტისთვის საპატრულო პოლიციის ესკორტი, რომელიც მსვლელობის მონაწილეებს მოჰყვებოდა, აღმოჩნდა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით.

ლგბტ მსვლელობის მონაწილეებმა დაუყოვნებლივ დარეკეს პოლიციაში, გააფრთხილეს ისინი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და სთხოვეს დამატებითი ძალების გამოყოფა. მოთხოვნილი პოლიციის დამატებითი ძალების მოლოდინში მსვლელობის მონაწილეებმა შენიშნეს, რომ შემთხვევის ადგილას პოლიციელთა მცირე რაოდენობა იყო მობილიზირებული. თუმცა, როდესაც მსვლელობის მონაწილეებმა მათ დასახმარებლად მიმართეს, პოლიციელებმა მიუგეს, რომ ისინი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არ იყვნენ და არსებულ სიტუაციაში ჩარევა მათ მოვალეობაში არ შედიოდა.

რადგან დაინახეს პოლიციის უმოქმედობა, პირველად შეურაცხყოფებთან დაკავშირებით აგრესია მსვლელობის მონაწილეთა წინააღმდეგ გამძაფრდა, დაახლოებით 20-30 წუთის შემდეგ კონტრდემონსტრანტებმა რამდენიმე აქტივისტს ხელიდან გამოსტაცეს ბანერები და დახიეს ისინი. შემდეგ კი კონტრდემონსტრანტები წინა რიგებში მყოფ მსვლელობის მონაწილეების მიმართ ხელის კვრითა და დარტყმით ფიზიკურ შეტევაზე გადავიდნენ. განხორციელებული თავდასხმისას მეექვსე მომჩივანი (ბ-ნი გ. დემეტრაშვილი), რომელიც მსვლელობის წინა რიგში იდგა მიწაზე დააგდეს და ხელ-ფეხით სცემეს. მალე საპატრულო პოლიციის რამდენიმე მანქანა მოვიდა შემთხვევის ადგილას. ზოგიერთი სამართალდამცავი პირი ჩაერია ინციდენტში და აღკვეთა

დემონსტრანტების ცემა. პოლიციელები დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩადგნენ და გააშველეს ისინი. ამ დროს აგრესიული და აჟიტირებული კონტრდემონსტრანტები კვლავ დიდი გესლით იმუქრებოდნენ და იძახდნენ, რომ მსვლელობის მონაწილენი „ცოცხლად უნდა დაეწვათ“ ან „გაესრისათ“.

რამდენიმე მომჩივანმა, რომლებიც ლგბტ მსვლელობის სხვა მონაწილეებთან ერთად ტროტუარზე იდგნენ, სთხოვეს პოლიციას, მსვლელობის დასაცავად უფრო ქმედითი ზომები მიეღო. ამის საპასუხოდ პოლიციამ მომჩივნები ძალით ჩასვა საპატრულო პოლიციის მანქანაში და მიიყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის პოლიციის განყოფილებაში, სადაც დაახლოებით 20 წუთის მანძილზე დაკავებული ჰყავდათ.

მომჩივნებს არ მიეცათ იმ მომენტისთვის ოფიციალური განმარტება დაკავების მიზეზის შესახებ. თუმცა, როგორც მთავრობამ მოგვიანებით განმარტა, პოლიციამ მომჩივნები უბრალოდ გაარიდა შემთხვევის ადგილს, რათა გაბრაზებული კონტრდემონსტრანტებისგან დაეცვა.

საქმეზე მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-11 მუხლის კონტექსტში, სასამართლო ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პლურალიზმი და დემოკრატია მრავალფეროვნების ჭეშმარიტ აღიარებასა და პატივისცემას ეფუძნება. განსხვავებული იდენტობის პირებისა და ჯგუფების ჰარმონიული ინტერაქცია აუცილებელია საზოგადოებრივი ერთიანობის მისაღწევად⁷⁶. „დემოკრატიული საზოგადოების“ განმსხვავებელ ნიშნებზე მითითებით სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა პლურალიზმს, ტოლერანტულობასა და ლიბერალურ მსოფლმხედველობას. ამ კონტექსტში სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ინტერესები ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფის ინტერესებზეა დამოკიდებული, დემოკრატია ყოველთვის უმრავლესობის უპირატესობას არ გულისხმობს: აუცილებელია ბალანსი, რომელიც უმცირესობისადმი სამართლიან და სათანადო მოპყრობას უზრუნველყოფს და ირიდებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას⁷⁷.

სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს, როგორც პლურალიზმის, ტოლერანტულობის და ლიბერალური მსოფლმხედველობის საბოლოო გარანტი⁷⁸. შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი თავისუფლება არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებამდე, არ ჩაერიოს შეკრება-მანიფესტაციაში: სრულად ნეგატიური კონცეფცია, კონვენციის მე-11 მუხლის განზრახვას და მიზანს არ ესადაგება და არ აკმაყოფილებს. ეს დებულება ზოგჯერ პოზიტიური ზომების გატარებას მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური

⁷⁶ Gorzelik and Others v. Poland, application 44158/98, 2004, §92.

⁷⁷ Young, James and Webster v. the United Kingdom, application 7601/76 & 7806/77, 1981; Sørensen and Rasmussen v. Denmark, application 52562/99 & 52620/99, 2006, §58.

⁷⁸ Informationsverein Lentia and Others v. Austria, application 13914/88, 1993.

ურთიერთობების სფეროშიც კი⁷⁹. ეს პოზიტიური ვალდებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ არაპოპულარული შეხედულებები ან ძლიერი მოწყვლადობის გამო მიეკუთვნებიან უმცირესობებს⁸⁰.

მშვიდობიანმა დემონსტრაციამ შესაძლებელია გააღიზიანოს ან გაანაწყენოს ადამიანები, რომლებიც იმ იდეების ან განცხადებების წინააღმდეგ არიან განწყობილნი, რომელთა ხელშეწყობასაც დემონსტრაცია ისახავს. ნებისმიერ შემთხვევაში, მონაწილეებს, სახელმწიფოს ხელშეწყობით, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ოპონენტებისგან ფიზიკური ანგარიშსწორების შიშის გარეშე გამართონ დემონსტრაცია; ასეთ შიშს შეუძლია შეაკავოს გაერთიანებები ან საერთო იდეების და ინტერესების მხარდამჭერი სხვა ჯგუფები საზოგადოებაზე გავლენის მქონე ძალიან საკამათო საკითხებზე თავიანთი აზრის ღიად გამოხატვისაგან. დემოკრატიაში კონტრდემონსტრაცია არ შეიძლება გადაიზარდოს დემონსტრაციის უფლების განხორციელების შეფერხებაში⁸¹.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2012 წლის 8 მაისს შიდასახელმწიფოებრივი სახელისუფლებო ორგანოების გაფრთხილების მიუხედავად, 2012 წლის 17 მაისს მშვიდობიანი მარშის ორგანიზების განზრახვის თაობაზე, მათ ვერ მოახერხეს ცხრაღლიან პერიოდში შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება. სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდნენ, მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო მომჩივანი ორგანიზაციის ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ გარე მსვლელობასთან. შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება ან გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების თაობაზე. გარდა ამისა, ლგბტ პროცესის შედეგიდან ცხადი იყო, რომ დემონსტრაციის ადგილას განთავსებული საპატრულო პოლიციელების რიცხვი არ კმაროდა. ქუჩის შეტაკებების მოსალოდნელი ალბათობის გათვალისწინებით, შიდასახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედულად ჩაითვლებოდა მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც უზრუნველყოფილი იქნებოდა უფრო მეტი პირადი შემადგენლობა, მაგალითად, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ჰომოფობიური და ძალადობრივი

⁷⁹ Wilson and the National Union of Journalists and Others v. the United Kingdom, application 30668/96, 30671/96 & 30678/96, 2002, §41; Ouranio Toxo v. Greece, application 74989/01, 2005.

⁸⁰ Bączkowski and Others v. Poland, application 1543/06, 2007, §64,

⁸¹ Plattform “Ärzte für das Leben” v. Austria, application 10126/82, 1988.

კონტრდემონსტრანტების სათანადოდ შეკავება და 2012 წლის 17 მაისის მარშის მშვიდობიანი ჩატარება. ამ წინდაუხედაობის გათვალისწინებით, სასამართლოს დასკვნით, სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული თავიანთი პოზიტიური ვალდებულება მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ⁸²

2006 წლის 29 ივნისს მომჩივნებმა დაიწყეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გარეთ დემონსტრაციის გამართვა, რათა გამოეხატათ მხარდაჭერა შალვა რამიშვილისა და დავით კობრეიძის – კერძო სატელევიზიო არხის, „202“-ის მფლობელებისთვის, რომელთა სასამართლო პროცესი იმართებოდა იმ დღეს. იმ დროისთვის რამიშვილისა და კობრეიძის საქმე საზოგადოების დიდ ყურადღებას იქცევდა. მომჩივნები შევიდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში, დაცვამ შენიშნა, რომ ერთ-ერთ მომჩივანს თან ჰქონდა მეგაფონი, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. მომჩივნები სასამართლოს შენობიდან 10-20 მეტრის დაშორებით შეჩერდნენ და პირველმა მომჩივანმა, მეგაფონის გამოყენებით, შემდეგი მოწოდება გააჟღერა:

„ჩვენ არ უნდა გვყავდეს პოლიტიკური პატიმრები საქართველოში“... ჩვენ გირჩევთ, ადასრულოთ სამართალი და არ დააკმაყოფილოთ მაღალი თანამდებობის პირების კერძო ინტერესები! ... სამართლიანობა ან სიკვდილი! ...“

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სიტუაცია 1930-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული ტერორის მსგავსი იყო, პირველმა მომჩივანმა დამცინავად მიმართა შს მინისტრს, ვ. მ.-ს და „ლავრენტი ბერიას ნაბიჭვარი“ უწოდა. მეოთხე და მეხუთე მომჩივნების წერილობითი განცხადებების თანახმად, მათ აგრეთვე მოითხოვეს რამიშვილისა და კობრეიძის, როგორც უკანონოდ დაკავებულების, დაუყოვნებლივ გათავისუფლება, და მოუწოდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, „არ გამხდარიყო [შს მინისტრის] კრიმინალური ქმედებების თანამონაწილე“. მომჩივნის სიტყვა გაგრძელდა დაახლოებით 3 წუთს, როდესაც რამდენიმე ფორმიანი სასამართლოს მანდატური მიუახლოვდა მომჩივნებს და, სავარაუდოდ, წინასწარი გაფრთხილების ან განმარტების გარეშე, ძალის გამოყენებით მოახდინეს მათი დაკავება. შემდეგ მომჩივნები წაიყვანეს სასამართლოს შენობაში და ჩაკეტეს სამორიგეო ოთახში.

საქმის განხილვისას ევროპულმა სასამართლო აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მომჩივნებმა გამართეს აქცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი დააპატიმრეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და

⁸² Kakabadze and others v. Georgia, application 1484/07, 2012.

სასამართლოს შეურაცხყოფისთვის. მათი სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც ეს მთავრობამ აღიარა, წარმოადგენდა ჩარევას შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში. შესაბამისად, სასამართლოს უნდა განეხილა, იყო თუ არა სადავო ჩარევა „კანონით განსაზღვრული“, გამოწვეული ერთი ან მეტი სამართლებრივი საფუძველით კონვენციის მე-11 (§2) მუხლის თანახმად და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

„კანონიერების“ მოთხოვნასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მას გააჩნდა სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნებს წინასწარ უნდა განესაზღვრათ, აქცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის გარეთ, ეზოში, გამოიწვევდა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. თუმცა ჩარევის აუცილებლობასთან მიმართებით წარმოქმნილ უფრო აშკარა პრობლემასთან დაკავშირებით სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია, მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ჩარევის კანონიერებამდე დაეყვანა.

სასამართლომ მიიღო მთავრობის არგუმენტი, რომ სადავო ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – უწყსრიგობის პრევენციასა და სასამართლო ხელისუფლების დაცვას.

თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ აქცია, რომელშიც ზუსტად 5 პირი მონაწილეობდა, ჩაიშალა დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ძალზე მოკლე პერიოდში. მომჩივნებს შეეძლოთ წარმოეთქვათ რამდენიმე ლოზუნგი. ეს ფაქტები ბადებს ეჭვს მთავრობის იმ მტკიცებასთან მიმართებით, რომელიც ეხება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. სასამართლოს აზრით, გამოთქმული ლოზუნგების შინაარსი არ წარმოადგენდა სასამართლოს შეურაცხყოფას ან მსგავს არასწორ ქმედებას. შესაბამისად, ლოზუნგების უმრავლესობა წარმოადგენდა კრიტიკულ ბუნდოვან შეფასებებს, რომლებშიც მომჩივნები იყენებდნენ გარკვეული ხარისხით გაზვიადებულ პოლიტიკურ გამონათქვამებსა და უხემ სიტყვებს, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოების წუხილის საგნისკენ საქართველოში – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისკენ. ამავე დროს, მომჩივნებმა მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევის გარეშე. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ამ თვალსაზრისით, ეროვნული სასამართლო ხელისუფლება, ყველა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტთან ერთად, ვერ ასცდება კრიტიკას და ამ დროს შოკისმომგვრელი და მიუღებელი აზრები და სიტყვები შეიძლება იქნეს გამოყენებული⁸³.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთადერთი შეურაცხმყოფელი ფრაზა, რომელიც წარმოთქვეს აქციის მონაწილეებმა, იყო „ლავრენტი ბერიას ნაბიჭვარი“ და ეხებოდა შს მინისტრს. თუმცა სასამართლოსთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლება ეს ფრაზა წარმოადგენდეს სასამართლოს შეურაცხყოფას, როდესაც ის მიმართული არ იყო სასამართლო ხელისუფლების წევრებისაკენ. სასამართლომ აღნიშნა, რომ

⁸³ Skatka v. Poland, application 43425/98, 2003, §34.

ნებისმიერ შემთხვევაში, დემოკრატიულ საზოგადოებაში, დიდი მოთმინება უნდა იქნეს გამოჩენილი მსგავსი შეხედულებებისადმი, რომლებიც კრიტიკულია მნიშვნელოვანი საჯარო პირების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც მსგავსი აზრების გამოხატვა ხდება ასე აშკარად და პროვოკაციული გზით, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა⁸⁴.

ევროპულმა სასამართლომ შეშფოთება გამოხატა, რადგან ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა თავისი მოვალეობა და დაედგინა საფუძვლიანი მიზეზები, რომლებიც გაამართლებდა აქციის დაშლასა და მომჩივნებისთვის პატიმრობის შეფარდებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, 2006 წლის 29 ივნისის განკარგულებაში, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის კვალიფიკაციის ზოგად და აბსტრაქტულ ტერმინებზე ისაუბრა შიდა კანონმდებლობის მიხედვით. თავმჯდომარემ არ განმარტა, ინციდენტის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თუ როგორ შეეშალა ხელი მართლწესრიგის უზრუნველყოფას და მომჩივნების მიერ წარმოთქმული რომელი კონკრეტული ფრაზები ჩაითვალა სასამართლოს შეურაცხყოფად; ერთადერთი, რასაც ის დაეყრდნო თავის გადაწყვეტილებაში, იყო განცხადება, რომ მომჩივნებმა გამართეს დემონსტრაცია „შენობის შიგნით, მის ცენტრალურ შემოსასვლელში“, რაც არ იყო სწორი და, შესაბამისად, მიუღებელი არგუმენტია მე-11 (§2) მუხლის გამოყენების გასამართლებლად. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ არ შეიძლება ითქვას, თითქოს მომჩივანთა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში შეზღუდვა ეყრდნობოდა შესაბამის და დამაჯერებელ საფუძვლებს.

ამავე დროს, სასამართლომ გაოცება ვერ დამალა იმ ფაქტის გამო, რომ მომჩივანთა მხრიდან აქციის მიმდინარეობისას რაიმე ძალადობრივი ქმედების არარსებობის მიუხედავად, ისინი მაინც დაექვემდებარნენ ყველაზე მკაცრ სასჯელს, რომელიც გამოიყენებოდა სადავო სამართალდარღვევისთვის, კერძოდ, 30-დღიან პატიმრობას. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში ზედმეტად მკაცრი სასჯელის ბოროტად გამოყენება კიდევ უფრო დაამძიმა 2006 წლის 29 ივნისის განკარგულებაში საკმარისი და ჯეროვანი მოტივების არარსებობამ.

შესაბამისად ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლეს ემოქმედათ გაგებით და კეთილსინდისიერად შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებასთან მიმართებით, ვერ წარმოადგინეს საკმარისი და საფუძვლიანი მიზეზები, რომლებიც გაამართლებდა ჩარევას და გასცეს სანქცია, რომელიც არაპროპორციული იყო მოცემული გარემოებების გათვალისწინებით. ხსენებულმა კი გამოიწვია კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა.

⁸⁴ Nilsen and Johnsen v. Norway, application 23118/93, 1999, §52 and §53.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს მთავრობასთან კომუნიცირებული საქმეები

2021 წლის 15 ივნისის მდგომარეობით, ევროპულმა სასამართლომ შეკრება-მანიფესტაციის უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით წარმოებაში მიიღო წყება საქმეებისა, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა შეკრებისა და მანიფესტაციის დროს დემონსტრანტთა მიმართ განხორციელებულ შეზღუდვებს. ქვემოთ მოხსენიებულ საქმეებზე ევროპული სასამართლო უკვე დაუკავშირდა საქართველოს მთავრობას და მოსთხოვა შესაბამისი არგუმენტების წარდგენა.

სვანაძე საქართველოს წინააღმდეგ⁸⁵

განაცხადი ეხება 2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში ჩატარებული საზოგადოებრივი დემონსტრაციის დაშლას ხელისუფლების ორგანოების მიერ ძალის გამოყენებით. აქცია თავდაპირველად მიმდინარეობდა მშვიდობიანად, თუმცა მოგვიანებით იგი გადაიზარდა პოლიციელებსა და დემონსტრანტებს შორის ძალადობრივ შეტაკებებში. ხელისუფლების ორგანოებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წყლის ჭავლი, მათ შორის, სავარაუდოდ, მცირე მანძილიდან, რის შედეგადაც ბევრი დემონსტრანტი დაშავდა. განმცხადებელი, ჟურნალისტი, აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს. მან განაცხადა, რომ დემონსტრაციის დაშლის დროს პოლიცია მას განგებ უმიზნებდა და ესროდა რეზინის ტყვიებს. მას მინიმუმ ოთხი რეზინის ტყვია მოხვდა.

პოლიციამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო; ამასთან, განმცხადებელს უარი ეთქვა მსხვერპლის სტატუსზე. იგი პრეტენზიას გამოთქვამს კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, რომ სათანადო ორგანოებმა არაპროპორციული ძალის გამოყენებით და ჟურნალისტების განზრახ დაზიანებით ხელი შეუშალეს მას პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

მერაბ ცაავა და ბესლან კმუზოვი საქართველოს წინააღმდეგ⁸⁶

ეს განაცხადიც ეხება 2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში ჩატარებული საზოგადოებრივი დემონსტრაციის დაშლას ხელისუფლების ორგანოების მიერ ძალის გამოყენებით. ორივე განმცხადებელი იყო ჟურნალისტი, რომლებიც აშუქებდნენ მოვლენებს. ისინი აცხადებენ, რომ დემონსტრაციის დაშლის დროს პოლიციამ დამიზნებით ესროლა მათ რეზინის ტყვიები. მეორე განმცხადებელი

⁸⁵ Svanadze v. Georgia, application 16757/20, 2021.

⁸⁶ Tsaava and Kmuzov v. Georgia, application 13186/20, 2020.

ირწმუნება, რომ მას მინიმუმ ექვსი რეზინის ტყვია მოხვდა. შედეგად მან მიიღო თავის არეში დაზიანება, რის გამოც ნაკერის დადება დასჭირდა. რაც შეეხება პირველ განმცხადებელს, მან დაზიანება მიიღო მარჯვენა ხელში და მკურნალობის გავლა საავადმყოფოში მოუხდა.

მაქარაშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁸⁷

განაცხადი ეხება განმცხადებელთა დაპატიმრებას 2019 წლის 18 ნოემბერს, თბილისში, პარლამენტის შენობასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე, რომლის დროსაც განმცხადებელი თანამოაზრეებთან ერთად აპროტესტებდა პარლამენტის მიერ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას და ადმინისტრაციული პატიმრობის დაწესებას პოლიციის ბრძანებების შეუსრულებლობისთვის. ხსენებული ინციდენტისას პოლიციამ დააკავა კიდევ 36 პირი.

განმცხადებლები დამნაშავედ ცნეს პოლიციის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო იმ მიზეზით, რომ მათ გადაკეტილი ჰქონდათ მოძრაობა და პარლამენტის შენობის შესასვლელი. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები ემყარებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ანგარიშებსა და შესაბამისი პოლიციელების ჩვენებებს. განმცხადებლების მიმართ გამოიყენეს ადმინისტრაციული პატიმრობა თორმეტი, ოთხი და შვიდი დღის ვადით. განმცხადებლების აზრით, სასამართლომ უსამართლოდ დააკისრა განმცხადებლებს მტკიცების ტვირთი და არ შეაფასა პოლიციელთა ქმედებების კანონიერება, მათ უფლებებში ჩარევის აუცილებლობა და პროპორციულობა და შესაბამისი სანქციების პროპორციულობა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ, როგორც მეორე და საბოლოო ინსტანციის სასამართლომ, ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

განმცხადებლები ჩივიან, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და ადმინისტრაციული სანქციის დაწესება მოხდა დაუსაბუთებლად, აგრეთვე ადგილობრივი სასამართლოების მიერ უპასუხოდ იქნა დატოვებული არგუმენტები მათი თავისუფლების უფლების განხორციელებაში სავარაუდო უკანონო და არაპროპორციული ჩარევის შესახებ, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა.

კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები ასევე ჩივიან, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალწარმოება არ შეესატყვისებოდა შეჯიბრებითობის პრინციპს და ვერ აკმაყოფილებს მხარეთა თანასწორობას, რომ მათ წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და ეყრდნობოდა მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს.

⁸⁷ Maqarashvili v. Georgia and 2 other applications, application 23158/20, 2020.

*გვანცა ძერხორაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*⁸⁸

განაცხადი ეხება ორ ცალკეულ ინციდენტს: პირველი ინციდენტი, განმცხადებლების სავარაუდო უკანონო დაკავება თორმეტი საათის განმავლობაში, 2016 წლის 17 მაისს დილას საქართველოს პატრიარქის რეზიდენციის კედლებზე გრაფიტის დახატვის მცდელობასთან დაკავშირებით, და სავარაუდო სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა პოლიციის მიერ მათი დაკავების დროს; და მეორე, სავარაუდო უარი შესაბამისი ეროვნული ორგანოების მიერ განმცხადებლებისთვის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფაზე, რაც შესაძლებლობას მისცემდა განმცხადებლებს, ორგანიზება გაეკეთებინათ და აღენიშნათ ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე (“IDAHOT”) 2016 წლის 17 მაისს. განაცხადის თანახმად, განმცხადებლებმა გაითვალისწინეს მათი წარსული უარყოფითი გამოცდილება, როდესაც ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობის გამო ვერ შეძლეს IDAHOT- ის ღონისძიების მშვიდობიანი ჩატარება დედაქალაქში, ამიტომ განმცხადებლები სთხოვდნენ შესაბამის ორგანოებს, რომ შეთანხმებულიყვნენ ღონისძიების ადგილმდებარეობისა და წესის შესახებ 2016 წლის აპრილში და სრულად ყოფილიყო დაცული მათი უსაფრთხოება. მოლაპარაკებები ჩაიშალა, ხოლო განმცხადებლებმა, იმ საფრთხის გამო, რომელიც ემუქრებოდათ შეკრებაში მონაწილე პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, გააუქმეს იგი.

ყველა განმცხადებელი ლგბტ აქტივისტია, გარდა მეშვიდე განმცხადებლისა.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება: საქართველოს კანონმდებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, „ყველას [...] აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება“.

შეკრება განიმარტება, როგორც მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით.⁸⁹

მანიფესტაცია – ეს არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან

⁸⁸ Dzerkhorashvili and others v. Georgia, application 70572/16, 2019.

⁸⁹ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსფარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით.⁹⁰

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ სპეციალურ ფორმას.⁹¹

შეკრებას/მანიფესტაციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი: რაიმე შეხედულებისა თუ საერთო ინტერესის გამოხატვა/დაფიქსირება, დღესასწაული, გლოვა, პროტესტი, პიკეტირება. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ინდივიდის პირადი განვითარების, მისი ღირსების დაცვის, საზოგადოების კეთილდღეობისა და პროგრესის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურის განვითარებასა თუ უმცირესობათა იდენტობის შენარჩუნებაში. შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლურალისტური და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, რომელშიც განსხვავებული მრწამსის, შეხედულებებისა და მოსაზრებების მქონე ადამიანები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და აქვთ განვითარების შესაძლებლობა.

შეკრების/მანიფესტაციის უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წინასაარჩევნო პერიოდში. იგი ხელს უწყობს თავისუფალ პოლიტიკურ გამოხატვასა და საჯარო პოლიტიკურ დებატებს. აღნიშნული პროცესების მეშვეობით კი ამომრჩეველს ეძლევა შესაძლებლობა, გააკეთოს ინფორმირებული და გააზრებული არჩევანი.

ამდენად, ყველას აქვს უფლება საჯაროდ, მშვიდობიანად და უიარაღოდ, წინასწარი ნებართვისა და შეთანხმების გარეშე გამოხატოს აზრი. საქართველოს კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა იცავს მხოლოდ მშვიდობიან შეკრება-მანიფესტაციას, თუმცა საინტერესოა, რა ტიპის მშვიდობიანი თავყრილობა ჩაითვლება შეკრებად ან მანიფესტაციად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „[...] ადამიანთა თავყრილობას (მსვლელობას), რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას“ არ ეწოდება შეკრება ან მანიფესტაცია⁹². ამავე დროს, დაცულია როგორც პოლიტიკური

⁹⁰ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 4.

⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 3.

საქმიანობით/შინაარსით განპირობებული, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან საერთოდ აპოლიტიკური ხასიათის შეკრებებისა თუ მანიფესტაციების გამართვის უფლება.

შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, წინასწარი ნებართვის გარეშე მშვიდობიანი შეკრების უფლება ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. ამავე დროს, არსებობს გარკვეულ პირთა კატეგორიები, რომელთაც ეზღუდებათ შეკრების/მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა. ესენია: თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში მყოფი პირები,⁹³ ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანაშრომლები⁹⁴.

ხსენებულ პირთათვის შეზღუდვის დაწესება გამოწვეულია მათზე დაკისრებული ამოცანებით, კომპეტენციებითა და უფლებამოსილებებით. კერძოდ, სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალ პირებს, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანაშრომლებს გააჩნიათ უფლებამოსილება, განახორციელონ სამართალდამცავი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა; აქვთ უფლება, გამოიყენონ ძალა და ფიზიკური იძულება. ხსენებული პირები შედიან სპეციალური დანიშნულების შეიარაღებულ ან/და გასამხედროებულ დანაყოფებში. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირების მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა მოითხოვს ფრთხილ და საგანგებო დამოკიდებულებას, რის გამოც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედება მათზე არ ვრცელდება.⁹⁵

შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზება: ორგანიზატორი და მისი ვალდებულებები

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელება მოიცავს არა მხოლოდ მასში მონაწილეობის, არამედ მისი ინიცირებისა და ორგანიზების უფლებას.⁹⁶

⁹³ საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 138.

⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 145.

⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 131.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის ინიციატორი, იგივე მარწმუნებელი⁹⁷, შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური პარტია, გაერთიანება, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია თუ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი, ისე კონკრეტული ფიზიკური პირი. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით გააფართოვა აღნიშნულ პირთა წრე და აღნიშნა, რომ საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებსაც აქვთ უფლება, იყვნენ როგორც შეკრებისა და მანიფესტაციის ინიციატორები და პასუხისმგებელი პირები, ასევე შეუზღუდავად მიიღონ მონაწილეობა მასში⁹⁸.

ინიციატორთან/მარწმუნებელთან ერთად შეკრების/მანიფესტაციის დაგეგმვასა და მიმდინარეობაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ ორგანიზატორსა და რწმუნებულს. პასუხისმგებელი პირების უპირველესი ფუნქციაა შეკრება-მანიფესტაციის კანონის ჩარჩოებში მიმდინარეობის გარანტირება. ისინი ასევე უზრუნველყოფენ მონაწილეთა ეფექტიან კომუნიკაციას თვითმმართველობის ორგანოებთან.

ორგანიზატორი არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორის მიერ აქციის ორგანიზების ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილი პირი.⁹⁹ რწმუნებული არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი.¹⁰⁰ თავის მხრივ, ორგანიზატორი და რწმუნებული მიიჩნევიან შეკრებისა და მანიფესტაციის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელ პირებად.¹⁰¹

ორგანიზატორი ან რწმუნებული შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი. ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, არის ასაკობრივი შეზღუდვა. ორგანიზატორი ან რწმუნებული არ შეიძლება იყოს 18 წელს მიუღწეველი პირი.¹⁰²

⁹⁷ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრავა ერთიანი საქართველოსთვის“*, *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“*, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩივანია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2011 წლის 18 აპრილი.

⁹⁹ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁰⁰ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁰¹ იქვე, მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁰² იქვე, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

გარდა იმ წესებისა, რომელთა დაცვაც ევალება შეკრებისა და მანიფესტაციის ყველა მონაწილეს, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი პასუხისმგებელ პირებს დამატებით ვალდებულებებს აკისრებს:

- იმ შემთხვევაში, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ნაწილზე იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, მარწმუნებელი ვალდებულია, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილის მიხედვით მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. გაფრთხილებას ხელს აწერენ შეკრებასა და მანიფესტაციის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები (რწმუნებული/ორგანიზატორი).¹⁰³
- იმ შემთხვევაში, თუ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას ადგილი აქვს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისკენ, ან ისეთ მოწოდებას, რომელიც არის ომის და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ასევე კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენელი¹⁰⁴ მიმართავს ორგანიზატორს. მიმართვიდან 15 წუთის განმავლობაში ორგანიზატორი ვალდებულია, დარღვევის აღმოსაფხვრელად მოუწოდოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას¹⁰⁵.
- ორგანიზატორი, არაუგვიანეს 15 წუთისა, ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა გაიხსნას კანონის მოთხოვნათა დარღვევით, შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ, გადაკეტილი ავტომობილების სავალი ნაწილი და აღდგეს მოძრაობა.
- შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორები და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ვალდებულები არიან, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტფიცირებული ნიშნის მქონე ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ შეკრებას ან მანიფესტაციას.¹⁰⁶
- ორგანიზატორის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

¹⁰³ იქვე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁰⁴ იქვე, მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი – ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად გამოყოფილი პირი.

¹⁰⁵ იქვე, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁰⁶ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

წინასწარი გაფრთხილება

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არცერთი ადგილობრივი თუ ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს ნებართვა არ არის საჭირო შეკრების/მანიფესტაციის ჩასატარებლად. ამდენად, ნებართვისაგან უნდა გაიმიჯნოს წინასწარი გაფრთხილება, რომელიც მხოლოდ ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს და არ გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას, ნება დართოს ან არ დართოს შეკრების/მანიფესტაციის გამართვას. აღნიშნულ საკითხებზე რაიმე სახის სანებართვო სისტემის დაწესებას საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია რეგულაცია, რომელიც ხელისუფლებას აძლევდა შესაძლებლობას, უარი ეთქვა შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების შესახებ გაფრთხილების მიღებაზე. სასამართლოს განმარტებით, ამგვარი, ნებართვის მსგავსი, რეგულაცია ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნებს¹⁰⁷.

წინასწარი გაფრთხილების მექანიზმის არსებობის ერთადერთი მიზანი არის სახელმწიფო ორგანოებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ შეკრებისა ან/და მანიფესტაციის უფლების განხორციელება და დაიცვან საჯარო წესრიგი.¹⁰⁸ სათანადო/აუცილებელ ზომებში იგულისხმება:

- ალტერნატიული მარშრუტების შემუშავება, რათა სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის შემუშავება;
- შეკრება-მანიფესტაციის ჩატარებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და მსგავსი ტიპის ღონისძიებები.

„გაფრთხილებასთან დაკავშირებულმა მონაცემებმა სახელმწიფო ორგანოებს საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ წარმოდგენა შეექმნათ [...] იმაზე, თუ რა განკარგულებები უნდა გაიცეს მოძრაობის მოწესრიგებისა და სხვა ღონისძიებებისათვის, რათა შეკრების მიმდინარეობა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილ იქნეს“¹⁰⁹.

¹⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 82.

¹⁰⁸ Sergey Kuznetsov, application 10877/04, 2009, §42; Rai and Evans v. the United Kingdom, application 26258/07, 26255/07, 2009.

¹⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის #4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი, II, პ. 3.

ამგვარი ზომების მიღებით სახელმწიფო ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას გარემო, რომელშიც ადამიანები შეძლებენ საკუთარი კონსტიტუციური უფლებებით ეფექტიანად სარგებლობას.

წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წინასწარი გაფრთხილება სავალდებულოა ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც „შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს“¹¹⁰.

ამდენად, იმისათვის, რომ წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება წარმოიშვას, უშუალოდ შეკრების ან მანიფესტაციის გამართვის ფორმის ან/და მონაწილეთა რაოდენობის გამო უნდა ხდებოდეს ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება. შესაბამისად, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტილია შეკრებისაგან ან მანიფესტაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, თვითმმართველობის ორგანოების გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის გამართვასთან დაკავშირებით არ არის აუცილებელი.

წინასწარი გაფრთხილების პროცედურები

შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ გაფრთხილება უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში. აღმასრულებელი ორგანოებია: თვითმმართველ თემში – გამგებელი, თვითმმართველ ქალაქში – მერი, თბილისში – თბილისის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და თბილისის რაიონების გამგეობები.¹¹¹

აღმასრულებელი ორგანოს გაფრთხილება უნდა მოხდეს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა.¹¹² 5-დღიანი ვადის დაცვა მნიშვნელოვანია, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ შეკრების/მანიფესტაციის სრულყოფილად ჩატარების გარანტირება.

¹¹⁰ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹¹¹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 48-ე მუხლის პირველი პუნქტი და 72-ე მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №1958-III, 05/02/2014.

¹¹² საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

გაფრთხილებაში უნდა აისახოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) შეკრების ან მანიფესტაციის ფორმა, მიზანი, ჩატარების ადგილი ან სვლა-გეზი, დაწყებისა და დამთავრების დრო, თარიღი, მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა;
- ბ) მარწმუნებლის ვინაობა;
- გ) პასუხისმგებელი პირების ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი (მისამართი), საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- დ) გაფრთხილების შეტანის თარიღი და დრო.

გარდა ამისა, გაფრთხილებას თან უნდა ერთოდეს რწმუნების დამადასტურებელი საბუთი.

წერილობით უნდა აღინიშნოს შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირების მიერ აქციის მსვლელობისას სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ფორმა.

გაფრთხილებას ხელს აწერენ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები.¹¹³

შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის აკრძალვა

როგორც აღინიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო არ არის უფლებამოსილი არ მიიღოს გაფრთხილება და გასცეს ან არ გასცეს შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების უფლება. თუმცა, თავის მხრივ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი პასუხისმგებელ პირებს ავალდებულებს, დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ გაფრთხილებით ნაკისრი ვალდებულებები – შეკრება ან მანიფესტაცია უნდა ჩატარდეს გაფრთხილებაში აღნიშნულ დროსა და ადგილას, მასში მითითებული მიზნისა და სვლა-გეზის შესაბამისად¹¹⁴.

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებების/მანიფესტაციების გამართვა მიიჩნევა საჯარო სივრცის გამოყენების ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილია შენობები, რომლებშიც შეკრების/მანიფესტაციის გამართვა იკრძალება, ხოლო მის მიმდებარე

¹¹³ იქვე, მე-8 მუხლის მეორე-მეოთხე პუნქტები.

¹¹⁴ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-8 მუხლის მეცხრე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

ტერიტორიაზე ამგვარი ღონისძიების ორგანიზებისას აუცილებელია გარკვეული დისტანციის დაცვა.

შეკრების/მანიფესტაციის ჩატარება აკრძალულია შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე:

- საქართველოს პროკურატურის, პოლიციის, პენიტენციური დაწესებულებებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობები;
- რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები.

აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში და მათი შესასვლელებიდან ასი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.

აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება.¹¹⁵

რაც შეეხება ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებს, საქართველოს კანონმდებლობა მათ აძლევს შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას – მათ უფლება აქვთ, მიიღონ გადაწყვეტილება შეკრების/მანიფესტაციის შენობიდან მოშორებით ჩატარების შესახებ, მაგრამ არაუმეტეს ოცი მეტრისა. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. შეზღუდვის მიზანს კი უნდა წარმოადგენდეს შენობის ბლოკირებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილება, ხოლო სასამართლოების შემთხვევაში, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაც¹¹⁶.

ადმინისტრაციულ შენობებთან შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების შეზღუდვა უნდა განისაზღვროს და შეფასდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, თუმცა ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია დისკრეციის ფარგლებით. მას არ აქვს უფლება, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გამორიცხავს შეკრების/მანიფესტაციის უფლების განხორციელებას.

მაგალითად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 20 მეტრის რადიუსში აკრძალება შეკრების/მანიფესტაციის ჩატარება, ხოლო ცალკეული ტერიტორიული ბარიერების გამო შეუძლებელია ამ რადიუსის დაცვით ხსენებული უფლების განხორციელება, მაშინ მითითებული

¹¹⁵ იქვე, მე-9 მუხლის პირველი-მესამე პუნქტები.

¹¹⁶ იქვე, მე-9 მუხლის მეოთხე-მეხუთე პუნქტები.

ორგანოების ამგვარი გადაწყვეტილება ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ.

ამასთანავე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის არგუმენტით შეკრება/მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვა ან მისი დარბევა ვერ იქნება ლეგიტიმური საფუძველი ვერც საზოგადოებრივი წესრიგის ჰიპოთეტური რისკის და ვერც წინასწარ სკეპტიკურად განწყობილი აუდიტორიის არსებობის შემთხვევაში. წინასწარი შეზღუდვების დაწესება, მოსალოდნელი მცირე ძალადობის ინციდენტების გამო, მიიჩნევა არაპროპორციულად, რადგან ძალადობის ყველა შესაძლო ინდივიდუალური გამოვლინების მიმართ უნდა გატარდეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები და არ დაწესდეს წინასწარი შეზღუდვები.¹¹⁷

საზოგადოებრივი წესრიგის არგუმენტით შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ მონაწილეები თავად განახორციელებენ არაკანონიერ და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ ქმედებებს და როდესაც ამგვარი ქმედებები მოსალოდნელია.¹¹⁸

შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა ვალდებულებები

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია მშვიდობიანი შეკრების უფლება. მშვიდობიანი შეკრება გულისხმობს ისეთ შეკრება-მანიფესტაციასაც, რომელიც შეიძლება მიუღებელი ან შემაწუხებელი იყოს ამ გარკვეული იდეის ან შეხედულების მოწინააღმდეგე პირთათვის. დაცვის სფეროში ექცევა ისეთი შეკრებაც, რომელიც მესამე პირებს ცალკეულ დაბრკოლებებს უქმნის ან ხელს უშლის გარკვეული ქმედებების განხორციელებაში.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მშვიდობიანად არ ჩაითვლება შეკრება/მანიფესტაცია, რომლის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განზრახული აქვთ ძალადობის გამოყენება. შესაბამისად, ცალკეული მონაწილის სპორადული ძალადობრივი ქმედება შეკრებას/მანიფესტაციას არ უცვლის ბუნებას და შეკრება/მანიფესტაცია არ ხდება უკანონო.¹¹⁹

¹¹⁷ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (2nd Edition), OSCE/ODIHR, Warsaw/Strasbourg, 2010, §71.

¹¹⁸ იქვე, §72.

¹¹⁹ OSCE/ODIHR – Venice Commission Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (2nd Edition), European Commission for Democracy Through Law, Venice, 4 June 2010, Section B, §26.

აქედან გამომდინარე, დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება:

- 1) საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და
- 2) ქმნის ზემოჩამოთვლილი ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.¹²⁰

შესაბამისად, იმისათვის, რომ შეკრება-მანიფესტაცია ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ, მხოლოდ მოწოდება ძალადობისაკენ, ომისაკენ, შუღლისაკენ და ა.შ. არ არის საკმარისი. ამგვარმა მოწოდებამ უნდა წარმოშვას აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს ნივთებს, რომელთა ქონაც ეკრძალებათ შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეებს. ესენია: ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილადაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება, ცივი იარაღი; ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/და მომწამვლელი ნივთიერება; ალკოჰოლური სასმელები; ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მიზნით. ასევე, მათ ეკრძალებათ განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისათვის.¹²¹

„დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის მიმდინარეობისას ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული ან/და სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობის, ძეგლის, მემორიალის ბლოკირება, ვიზუალური მხარის დამახინჯება, დაზიანება ან/და სხვაგვარი ხელყოფა“.¹²²

¹²⁰ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹²¹ იქვე, მე-11 მუხლის მეორე პუნქტი.

¹²² იქვე, მე-11 მუხლის მესამე პუნქტი.

შეკრებისა და მანიფესტაციისას ტრანსპორტის სავალი გზის გადაკეტვის შედეგები

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება მოიცავს შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებასაც.¹²³ შეკრების/მანიფესტაციის ინიციატორი და მონაწილეები წყვეტენ, რასთან დაკავშირებით – რის აღსანიშნად თუ დასაგმობად – ჩაატარონ შეკრება-მანიფესტაცია; მათი უფლებაა, თავად აირჩიონ ადგილი, დრო და კანონშესაბამისი აღნიშვნის/დაგმობის ფორმები.

თავის მხრივ, ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფომ არ შეიძლება დააწესოს გარკვეული რეგულაციები თუ შეზღუდვები არც შეკრების შინაარსთან და არც შეკრების/მანიფესტაციის ფორმასთან/მეთოდთან დაკავშირებით, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება ტრანსპორტის სავალი გზის გადაკეტვასაც მოიცავდეს. თუმცა ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისები, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. იგი შეიძლება დაუპირისპირდეს სხვა კონსტიტუციურ უფლებებს და, შესაბამისად, წარმოიშვას მისი შეზღუდვის საჭიროება.

შეკრების/მანიფესტაციის უფლებით სარგებლობისას, სხვა უფლებებთან დაპირისპირების ყველაზე მკვეთრი შემთხვევაა ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა, რითაც ირღვევა ტრანსპორტის მოძრაობის ჩვეული რიტმი, ასევე, შეკრების გამართვით შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირთა პროფესიული საქმიანობა ან საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია, დაიცვას გონივრული ბალანსი დაპირისპირებულ უფლებებს შორის, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ადამიანის მიერ მისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებით მაქსიმალური სარგებლობა.

„[...] ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია, დაიცვას ბალანსი შეკრების ან მანიფესტაციის თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება ან მანიფესტაცია. აღნიშნულ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოს, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა“.¹²⁴ ამ მიზნით, ერთმანეთთან დაუკავშირებელი შეკრების/მანიფესტაციის არსებობის

¹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 34.

¹²⁴ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-11² მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

შემთხვევაში, შეიძლება დაწესდეს დროისა და ადგილის შეზღუდვა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია, შესთავაზოს პასუხისმგებელ პირებს ალტერნატიული ვარიანტები.

სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვა „არ უნდა იყოს ამკარად არაგონივრული, შესასრულებლად მძიმე და არსებითად აზრს არ უნდა უკარგავდეს კონსტიტუციით აღიარებული უფლების რეალიზაციას“¹²⁵. შესაბამისად, დაუშვებელია შეზღუდვის დაწესება, თუკი ზემოხსენებულ პირთა უფლებები იზღუდება დროის მცირე მონაკვეთში.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეკრების მონაწილეთა მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად სხვათა უფლებების მიზანმიმართულად შეზღუდვა დაუშვებელია.¹²⁶ შესაბამისად, იკრძალება ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციით ან/და საგნით თვითნებური გადაკეტვა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თუ შეკრების/მანიფესტაციის ჩატარება შესაძლებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ.¹²⁷

თუმცა, როდესაც შეკრებაში მონაწილეთა რაოდენობის გამო ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა გარდაუვალია, ხელისუფლებას „არ აქვს უფლება, ჩაერიოს შეკრების ან მანიფესტაციის მსვლელობაში საგზაო მოძრაობის აღდგენის მიზნით...“¹²⁸. უფრო მეტიც, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა უსაფრთხოება და ტრანსპორტის სავალი ნაწილის ალტერნატიული მარშრუტის განსაზღვრა¹²⁹.

¹²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 29.

¹²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 34.

¹²⁷ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-11¹ მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 36.

¹²⁹ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-11¹ მუხლის მეხუთე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, ვინაიდან სხვაგვარად ვერ მოხერხდება მისი განხორციელება,¹³⁰ თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა უნდა წარმოადგენდეს **ობიექტურ აუცილებლობას**. შესაბამისად, იმის შეფასებაც, რეალურად არის თუ არა შესაძლებელი ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის გარეშე შეკრების/მანიფესტაციის უფლების განხორციელება, უნდა ხდებოდეს **ობიექტურ, აშკარა და თვალნათელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით**.¹³¹

ამდენად, „[...] როდესაც მანიფესტაციის განხორციელების შესაძლებლობა სხვათა უფლებების შეუღალავად და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გარეშე არის შესაძლებელი იმ ადგილას, სადაც მანიფესტაციის პროტესტის ან მხარდაჭერის ადრესატი იმყოფება, ხელისუფლება უფლებამოსილია, შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, თუ ის ქუჩის ბლოკირებაში, მის გადაკეტვაში გამოიხატება, რომელიც სხვათა უფლებების და თავისუფლებების დარღვევას იწვევს ან საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას უპირისპირდება“.¹³²

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები

შეკრებების/მანიფესტაციების ჩატარებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ მთელი რიგი ვალდებულებები, როგორც საორგანიზაციო, ისე ადმინისტრაციული. მათი უფლებამოსილების ფარგლები დეტალურადაა გაწერილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში.

პასუხისმგებელი პირების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში გაფრთხილების შეტანისას, ეს უკანასკნელი ვალდებულია, განუმარტოს პასუხისმგებელ პირებს:

1. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით შეკრება/მანიფესტაციის ჩატარებისათვის დადგენილი მოთხოვნები;
2. პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება დადგეს ხსენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.¹³³

¹³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 37.

¹³¹ იქვე, II, პ. 45.

¹³² იქვე, II, პ. 39.

¹³³ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-8 მუხლის მერვე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი ნებართვის მოპოვების სისტემა, რაც ნიშნავს, რომ თვითმმართველობის ორგანოს არ აქვს უფლება, უარი უთხრას ან დათანხმდეს შეკრების/მანიფესტაციის გამართვას, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ კანონი ანიჭებს უფლებამოსილებას, პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით განიხილოს შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი.

ხსენებული საკითხის განსახილველად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აქვს სამი დღე შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შესახებ გაფრთხილების მიღების დღიდან. რეკომენდაცია შეკრების/მანიფესტაციის ადგილისა და დროის შეცვლის შესახებ პასუხისმგებელ პირებს უნდა გადაეცეს წერილობითი ფორმით. ამგვარი რეკომენდაციის გაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეუძლია, თუ:

- მისი მიზანია საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა;
და
- ✓ თუ შეკრება ან მანიფესტაცია რეალურ საფრთხეს უქმნის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას;
ან
- ✓ სხვა აქციის (რომელზედაც გაფრთხილება უფრო ადრე იქნა შეტანილი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში) ჩატარება დაგეგმილია იმავე ადგილზე და იმავე დროს.¹³⁴

ამდენად, მხოლოდ მიზნის არსებობა არ არის საკმარისი. აუცილებელია, ასევე, სახეზე იყოს ერთ-ერთი ზემოთ მითითებული საფუძველი.

ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების ძირითადი მიზანი/დანიშნულება გარკვეული გზავნილის მიტანაა სამიზნე ჯგუფებამდე. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ხელი შეუწყოს შეკრების/მანიფესტაციის გამართვას იმგვარად, რომ ზემოხსენებული დანიშნულება იქნეს შენარჩუნებული და გზავნილი სამიზნე აუდიტორიამდე მიტანილი.¹³⁵

¹³⁴ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹³⁵ ე.წ. „Sight and Sound“ პრინციპი; OSCE/ODIHR – Venice Commission Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (2nd Edition), European Commission for Democracy Through Law, Venice, 4 June 2010, Section A, §3.5.

შეკრებასა და მანიფესტაციაზე პასუხისმგებელ პირებთან ზემოხსენებულ საკითხებზე კომუნიკაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შესახებ გაფრთხილების მიღებიდან **3 დღის** განმავლობაში ავალებს უფლებამოსილ წარმომადგენელს. აღნიშნულის თაობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა გადაეცეთ წერილობითი შეტყობინება.¹³⁶

ამავე დროს, „ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის სათანადო პირობები და განსაზღვრონ ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული მარშრუტი“.¹³⁷ ხოლო, მეორე მხრივ, „სახელმწიფო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს უფლება არ აქვთ, ხელი შეუშალონ ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას“.¹³⁸

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციაში შედის, არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული **ამკარა მონაცემები (1)**, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად **უშუალო საფრთხე (2)** ემუქრება **კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას (3)**.

აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც **ორი სამუშაო დღის** განმავლობაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.¹³⁹

ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობა უფლებამოსილია ჩაერთოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის აღდგენის ღონისძიებაში იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო **არ ან ვერ** ახორციელებს მის კომპეტენციას ტრანსპორტის სავალი ნაწილის აღდგენის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიღებული კონკრეტული გარემოებებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინების საფუძველზე.¹⁴⁰

¹³⁶ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-10 მუხლის მეორე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹³⁷ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹³⁸ იქვე, მე-12 მუხლის მეორე პუნქტი.

¹³⁹ იქვე, მე-14 მუხლის პირველი-მეორე პუნქტები.

¹⁴⁰ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-11¹ მუხლის მესამე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

საქართველოს კანონმდებლობა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში შეკრებისა და მანიფესტაციის საკითხს სპეციფიკურად არეგულირებს, რაც გამოიხატება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის დამატებითი ვალდებულებების დადგენით. კერძოდ, წინასაარჩევნო პერიოდში, კამპანიის მიმდინარეობისას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება: „ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს [...] შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება“.¹⁴¹

ამავე დროს, მათ ევალებათ, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია. ხსენებული ნუსხა უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ვალდებულია, გაასაჯაროს მიღებული ნუსხა მიღებიდან 2 დღის ვადაში. ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზეც.¹⁴²

გარდა იმ ადგილებისა და შენობა-ნაგებობებისა, სადაც კანონით სააგიტაციო მასალის გაკვრა დაუშვებელია¹⁴³, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან, შეიმუშაონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალიც, რომლებზეც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია. ასევე, უნდა განსაზღვრონ ადგილები ან გამოყონ სტენდები, სადაც კამპანიაში მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა, გააკრან/გამოფინონ სააგიტაციო მასალა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ ხსენებული სტენდით თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობა.¹⁴⁴

შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძვლები

¹⁴¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 45-ე მუხლის მეექვსე ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე № 5636-რს, 27/12/2011.

¹⁴² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 45-ე მუხლის მეცხრე ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე № 5636-რს, 27/12/2011.

¹⁴³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 46-ე მუხლის მეორე ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე № 5636-რს, 27/12/2011.

¹⁴⁴ იქვე, 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საქართველოს კონსტიტუცია ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებაში ჩარევის უფლებას, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

კანონის მოთხოვნათა დარღვევით გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა არ წარმოადგენს შეკრების/მანიფესტაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველს – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენცია შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი ქმედებებით, რომლებიც აუცილებელია შეკრების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად. შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის უფლებამოსილება არ წარმოიშობა მაშინაც, როდესაც არამასობრივად ირღვევა შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეებზე დაკისრებული ვალდებულებები (იგულისხმება კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-13 მუხლის პირველი, მეექვსე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები და აკრძალვები).

ზემოხსენებული დარღვევებისას შეკრება-მანიფესტაცია არ შეიძლება ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ, თუმცა ორგანიზატორს წარმოეშობა ვალდებულება, დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის გაფრთხილებიდან უახლოესი **15 წუთის** განმავლობაში მოუწოდოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეებს დარღვევის შეწყვეტისაკენ და კანონის ჩარჩოებში შეკრების/მანიფესტაციის დასაბრუნებლად ყველა **გონივრული** ქმედება განახორციელოს. იგივე ვალდებულება ეკისრება ორგანიზატორს, როდესაც ხდება მონაწილეების მიერ ტრანსპორტის გადაადგილებისათვის განზრახ დაბრკოლებების შექმნა ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გზის სავალი ნაწილის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაშიც ორგანიზატორმა გაფრთხილების მიღებიდან **15 წუთის** განმავლობაში უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება.¹⁴⁵

ორგანიზატორის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების სხვადასხვა მიზეზით შეუსრულებლობის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გასახსნელად ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.¹⁴⁶

¹⁴⁵ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-13 მუხლის მეორე-მესამე პუნქტები, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁴⁶ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-13 მუხლის მეექვსე პუნქტი.

რაც შეეხება შეკრების/მანიფესტაციის შეწყვეტას, შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, შემდეგი დებულებების მასობრივი დარღვევის შემთხვევაში¹⁴⁷:

1. თუ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას ადგილი აქვს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდებას, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.¹⁴⁸

2. თუ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს თან აქვთ:

ა) ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილად აალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღი;

ბ) ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოიყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით;

გ) ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/ და მომწამვლელი ნივთიერება.¹⁴⁹

შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლა

მიუხედავად მოთხოვნისა, თუ შეკრება, მანიფესტაცია, რომელიც აღარ ექცევა ზემოთ განხილულ კანონის მოთხოვნათა ფარგლებში, არ შეწყდა, სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ, შეკრების ან მანიფესტაციის შესაწყვეტად და მის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენონ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები. შეკრების/მანიფესტაციის დაშლა უფლების განხორციელებაში ჩარევის ყველაზე რადიკალური ფორმაა და გამოიყენებული უნდა იქნეს, როგორც უკანასკნელი საშუალება. სამართალდამცავმა ორგანოებმა ასეთ ჩარევას შეიძლება მიმართონ მხოლოდ ყველა გონივრული საშუალების ამოწურვის შემდეგ.¹⁵⁰

¹⁴⁷ იქვე, მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁸ იქვე, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁹ იქვე, მე-11 მუხლის მეორე პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები.

¹⁵⁰ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (2nd Edition), OSCE/ODIHR, Warsaw/Strasbourg, 2010, §138.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მანიფესტაციის დაშლა აუცილებლად იქნება მიჩნეული, შეკრების ორგანიზატორსა და მონაწილეებს **ნათლად და ხმოვანი საშუალების** გამოყენებით **წინასწარ** უნდა შეატყობინონ პოლიციის მხრიდან მოსალოდნელი ჩარევის შესახებ. მონაწილეებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო და საშუალება, რათა ამგვარ ჩარევამდე, საკუთარი ნებით დაიშალონ. მესამე პირებს, მონიტორებს, ჟურნალისტებს და ფოტოგრაფებს, შეიძლება ეთხოვოთ შეკრების დატოვება, თუმცა მათ ხელი არ უნდა შეეშალოთ პოლიციის მოქმედებების დაკვირვებასა და ჩაწერაში.¹⁵¹

გარდა იმისა, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მასობრივი დარღვევა უნდა იყოს სახეზე (1), შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების განხორციელებაში ამგვარი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს (2) და აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში (3).¹⁵²

ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს: სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა ან კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება.¹⁵³

შეკრებისა და მანიფესტაციის შესაწყვეტად იძულებითი ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილი უწყება

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **პოლიცია** უფლებამოსილია, უზრუნველყოს შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა და მონაწილეთა დაშლა.¹⁵⁴ თავის მხრივ, პოლიციას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას **თანაზომიერების პრინციპი**, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ისეთი საპოლიციო ღონისძიების შერჩევა, რომელიც გამოსადეგი (1), აუცილებელი (2) და პროპორციულია (3).¹⁵⁵

¹⁵¹ იქვე, §140.

¹⁵² Bukta and others v. Hungary, application 25691/04, 2007

¹⁵³ საქართველოს კონსტიტუცია, 24-ე მუხლის მეოთხე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №786, 24/08/1995.

¹⁵⁴ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მე-17 მუხლი მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №1444-ის, 04/10/2013.

¹⁵⁵ იქვე, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

საპოლიციო ღონისძიება **გამოსადეგია**, თუ მისი მეშვეობით შესაძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა.¹⁵⁶ **აუცილებელია** იმ შემთხვევაში, როდესაც „ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც ღონისძიების ადრესატს, ისე სხვა პირს“.¹⁵⁷ საპოლიციო ღონისძიება აკმაყოფილებს **პროპორციულობის** ტესტს, თუ სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა.¹⁵⁸

პოლიციის მიერ არაპროპორციული და არააუცილებელი საპოლიციო ღონისძიების გამოყენება შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში წამებად და არაადამიანურ მოპყრობად დაკვალიფიცირდეს, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ჩესტარო იტალიის წინააღმდეგ*¹⁵⁹ დაადგინა. პოლიციის მიერ საჯარო სკოლაში, სადაც დემონსტრანტები ღამეს ათევდნენ, რეიდის მოწყობისას მოქალაქე ანტონიო ჩესტაროს მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რამაც სხეულის მძიმე დაზიანებები (მრავლობითი მოტეხილობები) გამოიწვია, წარმოადგენდა არა საჭირო, მართლზომიერ და პროპორციულ საპოლიციო ღონისძიებას, არამედ იყო „სადამსჯელო და რევანშისტული და მის მიზანს მსხვერპლთა დამცირება და მათთვის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვის მიყენება წარმოადგენდა“. ასეთი ქმედება კი პირდაპირ ექცევა „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებულ „წამების“ დეფინიციის ქვეშ. პოლიციის თანამშრომელს ეკისრება ვალდებულება, შეწყვიტოს საპოლიციო ღონისძიება, როდესაც ამ ქმედების მიზანი მიღწეულია ან აშკარაა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.¹⁶⁰

პოლიცია უფლებამოსილია, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი.¹⁶¹ გარდა ზემოხსენებული პრინციპების დაცვისა, პოლიცია ვალდებულია, პირი გააფრთხილოს წინასწარ და მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა, „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქის ან/და უფლებამოსილი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე

¹⁵⁶ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მე-12 მუხლის მეორე პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №1444-ის, 04/10/2013.

¹⁵⁷ იქვე, მესამე პუნქტი.

¹⁵⁸ იქვე, მეოთხე პუნქტი.

¹⁵⁹ *Cestaro v. Italy*, application 6884/11, 2015.

¹⁶⁰ იქვე, მეხუთე პუნქტი.

¹⁶¹ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, 30-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №1444-ის, 04/10/2013.

შედეგი ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია გაფრთხილება“.¹⁶² სწორედ იმის გამო, რომ პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას დაცული იქნა ყველა წინასწარი პირობა, რომლებიც მოიცავდა გაფრთხილებას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ და აუცილებლობას, რამდენადაც შეიარაღებული დემონსტრანტების ალყაში მოქცეულ მანქანაში მყოფი პოლიციელის და მისი კოლეგების სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა, პოლიციელის მიერ დემონსტრატთა წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და ცეცხლის გახსნა, რამაც ერთ-ერთი დემონსტრანტის სიკვდილი გამოიწვია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ჯულიანო და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ*¹⁶³ არც კონვენციის მე-2 (გადაჭარბებული ძალის გამოყენებისა და სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების ქრილში) და არც მე-3 მუხლების დარღვევად არ მიიჩნია და დაადგინა მხოლოდ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა პროცედურული ვალდებულების ქრილში.

სამართალდამცავებმა შეიძლება გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად საშიში საშუალება არაპრაქტიკულია და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ აუცილებელი მინიმალური მოცულობით.¹⁶⁴

სპეციალურ საშუალებებს განეკუთვნება: ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება; სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება და არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი); ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბერითი მოწყობილობა; ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება; დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება; წყალსატყორცი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი, სასამსახურო ცხენი, ელექტრომოკური მოწყობილობა, შესაბოჭი ბადე.¹⁶⁵

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს განსაკუთრებულ სიტუაციაში პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენებას, აუცილებელია მისი გამოყენებისას დაცული იქნეს შესაბამისი სტანდარტი და მისი

¹⁶² იქვე, 31-ე მუხლის მესამე პუნქტი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1006 პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის შესახებ, მე-4 მუხლის მეორე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №1006, 31/12/2013.

¹⁶³ *Guiliani and Gaggio v. Italy*, application 23458/02, 2010.

¹⁶⁴ *Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials*, United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990, §14.

¹⁶⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1006 პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის შესახებ, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №1006, 31/12/2013.

გამოყენება მოხდეს მხოლოდ აუცილებელი მინიმალური მოცულობით. საქმეზე *აბდულა იასა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*¹⁶⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიციის მიერ ცრემლსადენი გაზის გამოყენება, რომელსაც მოჰყვა შემთხვევითი გამვლელის დაზიანება (ყბა-სახის ტრავმა), კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნია და განაცხადა, რომ პოლიციის მიერ ცრემლსადენი გაზის ყუმბარების ასეთი სახით გამოყენება, როდესაც მას შეეძლო დემონსტრანტთა სერიოზული დაზიანება და მათი ფიზიკური განადგურებაც კი, ვერ ჩაითვლებოდა მართლზომიერ ღონისძიებად. „ასეთი სიტუაცია ვერ პასუხობდა ინდივიდთა ფიზიკური დაცვის დონეს, რომელიც მოითხოვება თანამედროვე ევროპულ დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

„შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც **სამი სამუშაო დღის** განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განიხილავს ამ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს თითოეულ ინსტანციაში“.¹⁶⁷

პასუხისმგებლობის ფორმები და სახეები

შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარებასთან დაკავშირებით მოქმედი დებულებების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა იწვევს დაჯარიმებას **500 ლარის** ოდენობით. თუ ხსენებულ დარღვევას ჩადის შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორი, მაშინ მას დაეკისრება ჯარიმა **5 000 ლარის** ოდენობით. 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობაა გათვალისწინებული სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებისთვის, მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისთვის.¹⁶⁸

¹⁶⁶ Abdullah Yasa and others v. Turkey, application 44827/08, 2013.

¹⁶⁷ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-13 მუხლის მეშვიდე პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁶⁸ საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, 174¹ მუხლი #161, 31/12/1984.

500 ლარის ოდენობის, ხოლო ორგანიზატორის შემთხვევაში 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ასევე 15 დღიანი პატიმრობა ან გათვალისწინებული საქართველოს კანონის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ მე-9, მე-11¹⁶⁹ და მე-11¹⁷⁰ მუხლების დარღვევისთვის¹⁷¹, რაც გულისხმობს შეკრებისა და მანიფესტაციების გამართვის აკრძალვას საქართველოს პროკურატურის, პოლიციის, პენიტენციური დაწესებულებებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობებთან 20 მეტრის რადიუსში. სამხედრო ნაწილებთან 100 მეტრის რადიუსში. ასევე, შენობათა შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირების დაუშვებლობას¹⁷² და სხვა. წინამდებარე მუხლი დამატებით სახდელად ითვალისწინებს იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევას 3 წლამდე ვადით¹⁷³.

5000 ლარიანი ჯარიმა გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვის ან ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის, როდესაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი.¹⁷⁴

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეკრებებისა და მანიფესტაციებისთვის, ასევე, მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო.¹⁷⁵ აღნიშნული ქმედებისთვის კოდექსი ითვალისწინებს ჯარიმას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების განხორციელებაში ჩარევის უფლება აქვს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ პირთა წრეს. მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს/თანამდებობის პირებს აქვთ უფლება დააკავონ პირი შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის.¹⁷⁶ შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის პირის დაკავება იქნება უკანონო, თუ ეს დაკავება განხორციელდა არაუფლებამოსილი პირის მიერ.

¹⁶⁹ იხ. გვ. 10.

¹⁷⁰ იხ. გვ. 10-11.

¹⁷¹ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, 174¹ მუხლის მე-4 ნაწილი, #161, 31/12/1984.

¹⁷² საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-9 მუხლის 1, მე-2 და მე-3 ნაწილები, საკანონმდებლო მაცნე №763, 14/08/1997.

¹⁷³ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, 174¹ მუხლის შენიშვნა, #161, 31/12/1984.

¹⁷⁴ იქვე, 125-ე მუხლის მე-6¹ ნაწილი.

¹⁷⁵ იქვე, 174² მუხლი.

¹⁷⁶ იქვე, 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ცალკეულ შემთხვევებში შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის გამო შეიძლება დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

კონკრეტულად, სისხლის სამართლის წესით დასჯადია შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე.¹⁷⁷ უფრო მკაცრი სასჯელი – ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, სამ წლამდე ვადით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევაა გათვალისწინებული იგივე ქმედებისთვის, თუ იგი ჩადენილია საზოგადოებისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი ხერხით. მაგ., იარაღის გამოყენებით, ან რამაც გამოიწვია მასობრივი არეულობა, სიცოცხლის მოსპობა და სხვა მძიმე შედეგი.

სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა ორგანიზატორის მიერ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა¹⁷⁸. ორგანიზატორს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევისთვის, თუ ასეთმა ქმედებამ გამოიწვია მძიმე შედეგი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი „მძიმე შედეგის“ განმარტებას არ გთავაზობს, შესაბამისად, ეს უკანასკნელი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. დანაშაულისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან 2 წლამდე ვადით თავისუფლების შეზღუდვა ან/და გამასწორებელი სამუშაო ერთ წლამდე ვადით.

დასკვნა

დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს უფლებას, შესაბამისად, ის შეზღუდულად არ უნდა განიმარტოს ხელისუფლების ორგანოების მიერ. შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება:

¹⁷⁷ საქართველოს კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, 161-ე მუხლი, #2287, 13/08/1999.

¹⁷⁸ იქვე, 347-ე მუხლი.

- იცავს მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას, რომელსაც არ გააჩნია ძალადობრივი მიზნები, რომლებიც შემდეგ გადაიზრდება საზოგადოებრივ არეულობაში, ან გააჩნია ხელისუფლების კანონიერად არჩეული/დანიშნული ორგანოების ძალადობრივი დამხობის მიზნები;
- დაცული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს ძალადობრივი კონტრდემონსტრაციის რეალური საფრთხე და როდესაც ძალადობრივი ქმედებები არ ექვემდებარება ორგანიზატორების კონტროლს. შეკრების თავისუფლება აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას მშვიდობიანი აქციის მონაწილეები;
- მოიცავს კერძო შეხვედრებს, შეხვედრებს ქუჩასა და სხვა საჯარო ადგილებში, მსვლელობებს, პროცესიებს, მჯდომარე აქციებს;
- უშვებს, იმისათვის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ჯეროვნად განახორციელონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები და უზრუნველყონ შეკრება-მანიფესტაციის მშვიდობიანად და ჯეროვნად წარმართვა, სახელმწიფოებმა შესაძლებელია დააწესონ ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოებისათვის საჯარო შეხვედრის/შეკრების/მანიფესტაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულება, თუმცა ხსენებული არ გულისხმობს შეკრება-მანიფესტაციის შესახებ ნებართვას ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. შესაბამისად, შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება იცავს როგორც დაგეგმილ, ასევე სპონტანურ აქციებს;
- არ არის აბსოლუტური ხასიათის და მისი შეზღუდვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) შეზღუდვა გათვალისწინებული კანონმდებლობით (ხსენებული კანონმდებლობა ჯეროვნად და კანონის უზენაესობის მოთხოვნების დაცვით უნდა ითვალისწინებდეს გარემოებებს, როდესაც შესაძლებელია უფლების შეზღუდვა);
 - ბ) უნდა ემსახუროდეს ჯეროვან კანონიერ მიზანს;
 - გ) აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ განხორციელებული შეზღუდვა პროპორციული უნდა იყოს მისაღწევ მიზანთან მიმართებით.

- უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები (დემონსტრაციებზე დაწესებული ზოგადი ან ბლანკეტური აკრძალვები) საჭიროებს უფრო დეტალურ დასაბუთებას, ვიდრე კონკრეტულ შეკრებაზე დაწესებული აკრძალვა;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ უმცირესობებისთვის, რადგან „კონვენციის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო იქნება ის ფაქტი, თუკი უმცირესობის მიერ კონვენციით მინიჭებული უფლებების გამოყენება დამოკიდებული იქნება იმაზე, მისაღებია თუ არა ეს უმრავლესობისათვის“.